F-171
1981

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

თბილისი
1981

დეკემბერი № 12 ДЕКАБРЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1981

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 19/I-1982 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/III-1982 წ.;
ანაწყობის ზომა $6^1/_4 \times 9^1/_4$; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 5,1
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,80.

შეკვ. № 20 უე 15519 ტირაჟი 6000

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7
Типография Министерства просвещения ГССР, ул. Нуцубидзе № 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

F-4864

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1981 წლის 12 ნოემბრის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 735

### ლენინგორის საბავშვო სახლის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა შ ე ს ა ხ ე ბ

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში ლენინგორის საბავშვო სახლმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწია აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების, კვების, სანიტარიულ-ჰიგიენური, კულტურული და სამედიცინო მომსახურების საქმეში, ჯერ კიდევ ადგილი აქვს საყურადღებო ნაკლოვანებებს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში.

ცნობილი გახდა, რომ საბავშვო სახლში სუსტია დირექციის კონტროლი აღმზრდელ-პედაგოგთა მუშაობაზე, რის გამოც ადგილი აქვს აღსაზრდელთა მიერ გაპარვის შემთხვევებს, კვირეების მანძილზე სწავლის გაცდენას, აღსაზრდელის საბავშვო სახლიდან უსაბუთოდ გაყვანას. კერძოდ, მიმდინარე წლის 18 სექტემბრამდე აღნიშნული საბავშვო სახლის აღსაზრდელი ი. სივცოვი საბავშვო სახლში არ იმყოფებოდა, ხოლო დირექციას არავითარი ღონისძიება არ გაუტარებია ამ ფაქტის გამოსარკვევად, მის სწავლებაში ჩასაბმელად. ი. სივცოვს არ სურს საბავშვო სახლში დაბრუნება იმის გამო, რომ იქ არა აქვს ცხოვრების ნორმალური პირობები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ლენინგორის საბავშვო სახლის დირექტორმა ამხ. მ. ბულბუთაშვილმა სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე დაყენების მიზნით:

1. 1. გააძლიეროს კონტროლი და ზედამხედველობა პედაგოგ-აღმზრდელთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის;

1. 2. იზრუნოს აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების, კვების ორგანიზაციის, სანიტარიულ-ჰიგიენური, კულტურული და სამედიცინო მომსახურების, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გაუმჯობესებისათვის;

1. 3. არ დაუშვას საბავშვო სახლის აღსაზრდელთა ამორიცხვა შესაბამის რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის გადაწყვეტილების გარეშე.

2. საბავშვო სახლის დირექტორს ამხ. მ. ბულბუთაშვილს მუშაობაში არსებულ აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამო მიეცეს შენიშვნა.



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ლენინგორის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ (ამხ. ნ. ხეთეევი) გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი საბავშვო სახლის მუშაობაზე აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის მიზნით.

4. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს (ამხ. ჰ. თუთბერიძე) დაევალოს კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე.

**მინისტრის მოადგილე** **მ. კობახიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 19 ნოემბრის

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### ეკონომიისა და მომჭირნეობის სულისკვეთებით სკოლამდელ დაწესებულებათა აღსაზრდელებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა აღზრდის გაუმჯობესების შ ე ს ა ხ ე ბ

საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ ზემდგომი ორგანოების დადგენილებებისა და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1981 წლის 11 აგვისტოს № 126 ბრძანების შესრულების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებებმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა მიიღონ ზემოაღნიშნული დადგენილებები განუხრელი ხელმძღვანელობისა და შესრულებისათვის.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლებისა და აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოებმა (ამხ. ამხ. კ. სუჯაშვილი, ე. ზარქუა), აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ, სახალხო განათლების აღმზრდელობითი და სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელებმა:

2. 1. შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი სკოლამდელი ასაკის ბავშვებისა და მოსწავლეების ეკონომიისა და მომჭირნეობის სულისკვეთებით აღზრდისათვის, მათში შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების განვითარებისათვის;

2. 2. შექმნან ყოველ კოლექტივში საზოგადოებრივი ქონებისადმი, სასწავლო წიგნისადმი, შენობისადმი მზრუნველი დამოკიდებულება, შეაჩვიონ მოსწავლეები ელექტროენერგიის დაზოგვას და ა. შ. აქტიურად მოიზიდონ სასკოლო თვითმმართველობა სკოლის მუშაობაში დადგენილი რეჟიმის მკაცრ დაცვაზე კონტროლის დასაწესებლად;

2. 3. მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა და სასკოლო ბუფეტებსა და სასადილოებში მო-

სწავლეთა რაციონალური კვების ორგანიზაციას; არ დაუშვან პურისა და სხვა პროდუქტების არაეკონომიურად ხარჯვა და მათ მიმართ უყაირათო დამოკიდებულება;

2. 4. საკლასო და სასკოლო კრებებზე რეგულარულად განიხილონ პურის ეკონომიურად ხარჯვისა და საზოგადოებრივი დოვლათისადმი მზრუნველი დამოკიდებულების საკითხები, რათა მოსწავლეები შეურიგებელნი იყვნენ ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებებისადმი;

2. 5. ფართოდ გამოიყენონ სასწავლო საგნების (ლიტერატურის, ეკონომიკური გეოგრაფიის, ბიოლოგიის, ქიმიისა და სხვა) მასალა, რათა განუმარტონ მოსწავლეებს სკკპ და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ რესურსების მოხერხებული და ეფექტური გამოყენების საქმეში;

2. 6. მიიღონ აუცილებელი ზომები პურის უყაირათოდ ხარჯვის ფაქტების აღსაკვეთად და საზოგადოებრივი კვების სისტემაში სათანადო წესრიგის დასამყარებლად; მოაწყონ რეიდები პურის ყაირათიანი და ეკონომიური ხარჯვის შესამოწმებლად; გაატარონ შესაბამისი ღონისძიებანი პურსა და პურ-ფუნთუშეულზე უსაფუძვლოდ დიდი განაცხადების შესამცირებლად. პრაქტიკაში დანერგონ „პურის გაკვეთილები" პურისადმი მზრუნველი დამოკიდებულებისა და მისი ეკონომიურად ხარჯვის ფართო პროპაგანდის მიზნით; შექმნან მომჭირნეობის საგუშაგოები.

3. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი), სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი) და ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძე):

3. 1. მოქმედი სახელმძღვანელოების სრულყოფისა და ახალი სახელმძღვანელოების შექმნის საფუძველზე ფართოდ გააშუქონ მომჭირნეობისა და ეკონომიის, საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრებისადმი, სახალხო დოვლათისადმი ეკონომიური დამოკიდებულების საკითხები, აგრეთვე ეკონომიკის, სახალხო მეურნეობის ორგანიზაციისა და დაგეგმვის საკითხები;

3. 2. შეიტანონ აუცილებელი შესწორებები მშობელთა პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების ფაკულტატიური კურსების პროგრამებში: „სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკის საფუძვლები", „სოციალისტური სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საფუძვლები", „სოციალისტური წარმოების ეკონომიკის საფუძვლები", „ქიმია მრეწველობაში", „ქიმია სოფლის მეურნეობაში";

3. 3. შეიმუშაონ რეკომენდაციები სკოლის, გახანგრძლივებული დღის ჯგუფების, სკოლამდელი დაწესებულებების, საბავშვო სახლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებებისათვის, რომლებშიც გათვალისწინებულ ღონისძიებათა სისტემა მიმართული იქნება მომჭირნეობისა და ეკონომიის სულისკვეთებით სკოლამდელი ასაკის

ბავშვებისა და მოსწავლეების აღზრდის გასაძლიერებლად, ხოლო 1982 წლის 1-ელ სექტემბრამდე შეიმუშაონ კორექტივები და მეთოდური წერილი „სკოლამდელი ასაკის ბავშვებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა ეკონომიკური განათლებისა და აღზრდის შემდგომი სრულყოფის შესახებ“, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სკოლამდელებსა და მოსწავლეებში პურის მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების აღზრდას.

4. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი):

4. 1. გამომცემლობა „განათლებასთან“ ერთად მოამზადოს და 1983—1985 წლებში გამოსცეს მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის განკუთვნილი წიგნების სერიები ეკონომიკური განათლებისა და აღზრდის საკითხებზე;

4. 2. უზრუნველყოს პურისა და პურ-პუნთუშეულის ეკონომიური ხარჯვის შესახებ თვალსაჩინო დამხმარე სახელმძღვანელოების შექმნა და გამოცემა.

5. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) მოამზადოს რეკომენდაციები მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებისათვის, რომლებიც ხელს შეუწყობს მასწავლებელთა და სკოლების სხვა პედაგოგიურ მუშაკთა მომზადებას მოსწავლეთა ეკონომიური აღზრდის განსახორციელებლად და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაში პარტიისა და მთავრობის დადგენილებების შესასწავლად, რომლებშიც მოცემულია სოციალისტური საკუთრებისადმი ეკონომიური და მზრუნველი დამოკიდებულების საკითხები.

6. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) და კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ბ. აფხაზავა):

6. 1. მიიღონ ზომები სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო დისციპლინის შემდგომი გაძლიერებისათვის, სამეურნეო ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, განათლებაზე გამოყოფილი მატერიალური, შრომითი და საფინანსო რესურსების რაციონალურად გამოსაყენებლად.

განახორციელონ კონტროლი და სახალხო განათლების დაწესებულებათა ხელმძღვანელებს სისტემატური დახმარება აღმოუჩინონ იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომელიც დაკავშირებულია საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებასთან, ეკონომიის რეჟიმის დაცვასთან, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა ეკონომიური და ეფექტური ხარჯვის უზრუნველყოფასთან, უყაირათობისა და გაფლანგვის შემთხვევების აღმოფხვრასთან;

6. 2. სრულყონ სახალხო განათლების პერსპექტიული და მიმდინარე დაგეგმვა, მიაღწიონ საგეგმო და საანგარიშსწორებო მაჩვენებლების ხარისხიან შემუშავებას, დააწესონ მკაცრი კონტროლი მათ შესრულებაზე;

6. 3. სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოებითა და სასწავლო მოწყობილო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით აღჭურვის დროს მკაცრად დაიცვან ტიპური ნუსხებით დადგენილი ნორმატივები. არ დაუშვან სკოლებში ზედმეტი სასწავლო მოწყობილობის შემოტანა, რომელიც გათვალისწინებული არ არის სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციისათვის.

1982—1983 წლებში სკოლებსა და განათლების სხვა დაწესებულებებში ჩაატრონ სასწავლო მოწყობილობის, სწავლების ტექნიკური საშუალებათა და ავეჯის ერთდროული აღრიცხვა. აღრიცხვის შედეგების მიხედვით 1982—1985 წლებში სკოლები და განათლების სხვა დაწესებულებები აღჭურვონ იმ მოწყობილობით, თვალსაჩინოებითა და ავეჯით, რომელიც მათ აკლიათ, ხოლო ნორმის ზევით გამოყოფილი მოწყობილობა გადასცენ სხვა სკოლებს;

6. 4. გააგრძელონ მუშაობა განათლების დაწესებულებათა (სკოლამდელი დაწესებულებების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლისგარეშე და სხვა დაწესებულებების) ქსელის სრულყოფისათვის, რისთვისაც გაითვალისწინონ ბავშვთა საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის, ახალგაზრდობის საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელების ამოცანა ოპტიმალური დანახარჯებით;

6. 5. სასკოლო შენობათა, საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა, მოსწავლეთათვის ინტერნატებისა და მასწავლებელთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, აგრეთვე არსებულ სასკოლო შენობებზე მიშენება-დაშენება განახორციელონ ქსელის რეალიზაციის გეგმების საფუძველზე უფრო პროგრესული და ეკონომიური პროექტების მიხედვით, არ დაუშვან არავითარი ზედმეტობა განათლების ობიექტების მშენებლობისას.

კაპიტალური დაბანდებანი გამოიყენონ, პირველ რიგში, ადრე წამოწყებული მშენებლობის დასამთავრებლად.

7. გაზეთ „სახალხო განათლების" (ამხ. ნ. შველიძე) და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" (ამხ. ა. გოგელია) რედაქციებმა სისტემატურად ღრმად გააშუქონ ეკონომიისა და მომჭირნეობის, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი მზრუნველი დამოკიდებულების, ბავშვებისა და ახალგაზრდობის ეკონომიკური განათლების საკითხები, ოპერატიული და მკაცრი რეაგირება მოახდინონ მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში უყაირათობის გამოვლინებებსა და ნაკლოვანებებზე.

8. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაეკისროს განათლების მინისტრის პირველ მოადგილეს ამხ. ზ. ლომიძეს.

**კოლეგიის თავმჯდომარე,**

**მინისტრი ო. ქინქლაძე**

# РЕШЕНИЕ

## КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

### Об усилении работы по воспитанию дошкольников и учащихся общеобразовательных школ в духе экономии и бережливости 19 ноября 1981 года

С целью выполнения постановлений вышестоящих органов СССР и Грузинской ССР и приказа № 126 Министерства просвещения СССР от 11 августа 1981 года коллегия Министерства просвещения Грузинской ССР решает;

1. Министерствам просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделам народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики, управлениям и отделам Министерства просвещения Грузинской ССР, Управлению народного образования Тбилгорисполкома, научно-исследовательскому институту педагогики им. Я. Гогебашвили, институтам усовершенствования учителей принять вышеуказнные постановления к неуклонному руководству и исполнению.

2. Управлению школ (т. К. Суджашвили, и Управлению воспитательной работы (т. Э. Заркуа), Министерствам просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделам народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики, Управлению народного образования Тбилгорисполкома, руководителям воспитательных и учебных заведений просвещения:

2. 1. разработать и осуществить конкретные меры по воспитанию дошкольников и учащихся в духе экономии и бережливости, коммунистическому отношению к труду и общественной собственности;

2. 2. создать в каждом коллективе атмосферу бережного отношения к общественному добру: имуществу, учебной книге, зданию, электроэнергии и т. д. Активно привлечь школьное самоуправление к контролю за строгое соблюдение установленного режима в работе школ;

2. 3. обратить особое внимание на организацию рационального питания детей в дошкольных учреждениях и учащихся в школьных столовых и буфетах; не допускать фактов неэкономного расходования хлеба и других продуктов, бесхозяйственного отношения к ним;

2. 4. на классных и школьных собраниях регулярно обсуждать вопросы экономного расходования хлеба, бережного отношения к общественному добру, воспитывая непримиримость к недостаткам в этом деле;

2. 5. широко использовать материал учебных предметов (литература, экономическая география, биология, химия и других) для разьяснения политики КПСС и Советского правительства в умелом и эффективном исползовании ресурсов для блага советского народа;

2. 6. принять необходимые меры по устранению фактов бесхозяйственного отношения к хлебу и наведению должного порядка в системе общественного питания; организовать рейды по бережному и экономному расходованию хлеба; провести соответствующие мероприятия по устранению необоснованно больших заявок на хлеб и хлебобулочные изделия. Практиковать проведение «Уроков хлеба» с целью широкой пропаганды бережного и экономного отношения к хлебу; создать посты бережливости.

3. Управлениям школ (т. Суджашвили К. А.), Учебников (т. Глонти Н. А.), Научно-исследовательскому институту педагогики им. Я. Гогебашвили (т. Сакварелидзе Г. А.);

3. 1. при доработке действующих и создании новых учебников и учебных пособий шире освещать вопросы бережливости и экономии, экономного отношения к общественной социалистической собственности, народному достоянию; вопросы экономики, организации и планирования народного хозяйства;

3. 2. внести необходимые коррективы в программы факультативных курсов «Основы экономики социалистической промышленности», «Основы экономики социалистического сельского хозяйства», «Основы экономики социалистического производства», «Химия в промышленности», «Химия в сельском хозяйстве», народных университетов педагогических знаний для родителей;

3. 3. разработать рекомендации для школ, групп с продленным днем, дошкольных учреждений, детских домов, школ-интернатов и другие, предусмотрев в них систему мер по усилению воспитания дошкольников и учащихся в духе бережливости и экономии, а в срок до 1 сентября 1982 года — коррективы и методическое письмо «О дальнейшем совершенствовании экономического образования и воспитания дошкольников и учащихся общеобразовательных школ», обратив в нем о собое внимание на воспитании у дошкольников и учащихся бережного отношения к хлебу.

4. Управлению учебников (т. Н. Глонти):

4. 1. совместно с издательством «Ганатлеба» организовать подготовку и издание в 1983-1985 г. г. серии книг в адрес учителя и учащихся по вопросам экономического образования и воспитания;

4. 2. обеспечить разработку и издание наглядных пособий об экономном расходовании хлеба и хлебобулочных изделий.

5. Управлению кадров (т. А. Вачнадзе) подготовить рекомендации для институтов усовершенствования учителей по вопросам подготовки учителей и других педагогических работников школ к осуществлению экономического воспитания школьников, изучения в системе повышения квалификации постановлений партии и правительства по вопросам экономии и бережного отношения к социалистической собственности.

6. Планово-финансовому управлению (т. О. Кереселидзе) и Отделу капитального строительства (т. Б. Абхазава):

6. 1. принять меры по дальнейшему укреплению сметно-финансовой дисциплины и обеспечению эффективности хозяйствования, рационального использования материальных, трудовых и финансовых ресурсов, выделенных на просвещение.

Осуществлять контроль и оказывать руководителям учреждений народного образования систематическую помощь в решении вопросов, связанных с улучшением финансово-хозяйственной деятельности, соблюдением режима экономии, обеспечением экономного и эффективного расходования денежных средств, материальных ценностей и искоренению случаев бесхозяйственности и расточительства;

6. 2. совершенствовать перспективное и текущее планирование народного образования, добиваться качественной разработки плановых и расчетных показателей, установить строгий контроль за их выполнением;

6. 3. при оснащении школ, дошкольных и внешкольных учреждений учебно-наглядными пособиями и учебным оборудованием строго придерживаться установленных типовыми перечнями нормативов. Не допускать наличия излишков оборудования, не используемого или не предназначенного для организации учебно-воспитательного процесса.

Организовать в 1982 — 1983 гг. проведение единовременного учета наличния в школах и других учреждениях просвещения учебного оборудования, технических средств обучения и мебели. По его итогам обеспечить в 1982-1985 годах дооснащение школ и других учреждений просвещения недостающим оборудованием; наглядными пособиями и мебелью, а также передачу выделенного сверхнормативного оборудования другим школам;

6. 4. Продолжить работу по совершенствованию сети учреждений просвещения (дошкольных учреждений, общеобразовательных школ, внешкольных и других учреждений) с учетом задачи осуществления общественного дошкольного воспитания детей, всеобщего обязательного среднего образования молодежи при оптимальных затратах;

6. 5. Строительство зданий школ, детских дошкольных учреждений, интернатов для учащихся и жилых домов для учителей, а также блоко-пристроек к существующим зданиям школ осуществлять на основе планов реализации сети по наиболее прогрессивным и экономичным проектам; не допускать излишеств при строительстве обьектов просвещения.

Направлять капитальные вложения, в первую очередь, на завершение ранее начатых строек.

7. Редакциям газеты «Сахалхо ганатлеба» (т. Н. Швелидзе) и журнала «Скола да цховреба» (т. А. Гогелия) систематически глубоко освещать вопросы экономии и бережливости, хозяйского отношения к общественной собственности и экономического просвещения детей и молодежи; оперативно и остро реагировать на проявление бесхозяйственности, недостатков в деле воспитания подрастающих поколений.

8. Контроль за выполнением данного решения возложить на Первого заместителя Министра т. Ломидзе З. А.

**Председатель коллегии,**

**Министр О. Д. Кинкладзе**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 19 ნოემბრის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### ზესტაფონის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლების ტექნიკურ საშუალებათა აღრიცხვის ,შენახვის, დაცვისა და გამოყენების საქმეში არსებული სერიოზული დარღვევების შ ე ს ა ხ ე ბ

შემოწმებით დადგინდა, რომ ზესტაფონის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სათანადო ყურადღება არ ექცევა სწავლების ტექნიკური საშუალებებით სასწავლო კაბინეტების აღჭურვას, მათ სწორ აღრიცხვას, შენახვას, დაცვასა და სწავლების პროცესში გამოყენებას. რაიონში ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან სწავლების ტექნიკური საშუალებების რაციონალურად განაწილების საქმეს. რის შედეგადაც რიგ სკოლებში აღინიშნება მათი სიჭარბე, ზოგან კი უკმარისობა. სკოლებში არსებული ტექნიკური საშუალებები, ძირითადად, გამოყენებულია და ხშირ შემთხვევაში საწყობებსა, თუ სასწავლო კაბინეტებში შეფუთულ მდგომარეობაში იმყოფება.

რიგი სკოლების ხელმძღვანელთა უკონტროლობისა და უპასუხისმგებლობის შედეგად საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა სწავლების ტექნიკური საშუალებების შენახვისა და დაცვის საქმეში. შემოწმებით გამოვლინდა სკოლებზე რიცხული ძვირადღირებული სწავლების ტექნიკური საშუალებების ადრეულად მწყობრიდან გამოსვლის, გაძარცვის, დაკარგვისა და დატაცების შემთხვევებიც კი. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ზესტაფონის მე-2 და მე-3, რაიონის სასახლის, შორაპნის, ქვედასაზანოს 1-ლ და მე-2, შრომის, ბოსლევისა და სხვა საშუალო სკოლებში.

ზემოაღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევები იმის შედეგია, რომ ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე ამხ. მ. სარალიძე, სასკოლო ინსპექტორი ამხ. გ. ბუხნიკაშვილი) არ გაატარა საჭირო ღონისძიებები წინა წლებში შემოწმებით გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილების „რესპუბლიკის სკოლებში სწავლების ტექნიკურ საშუალებათა აღრიცხვის, შენახვის, დაცვისა და სწავლებაში გამოყენების მდგომარეობის შესახებ“ შესასრულებლად.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. გადაწყვეტილება და სკოლების სამმართველოს ცნობა „ზესტაფონის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლების ტექნიკურ საშუალებათა აღრიცხვის, შენახვის, დაცვისა და სწავლებაში გამოყენების საქმეში არსებული სერიოზული დარღვევების შესახებ“ დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინსიტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, რომლებმაც:

1. 1. განუხრელად იხელმძღვანელონ მუშაობაში სწავლების ტექნიკური საშუალებების მოვლის, დაცვისა და სწავლებაში გამოყენების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1981 წლის 13 აპრილის კოლეგიის გადაწყვეტილებით და სისტემატური კონტროლი დააწესონ მის შესრულებაზე.

1. 2. ორი თვის ვადაში შეამოწმონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლების ტექნიკური საშუალებების აღრიცხვის, შენახვის, დაცვისა და სწავლებაში გამოყენების მდგომარეობა. შედეგები განიხილონ კოლეგიების და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე, უმკაცრესი ზომები მიიღონ იმ სკოლების ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა მიმართ, რომლებიც დაუდევრად ეკიდებიან სასკოლო ქონების მოვლა-პატრონობისა და გამოყენების საქმეს; სათანადო წესების დაცვით აანაზღაურონ სწავლების ტექნიკური საშუალებების დანაკლისი მატერიალურად პასუხისმგებელი მუშაკებისაგან.

2. ზესტაფონის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ (ამხ. მ. სარალიძე):

2. 1. 1982 წლის 1-ლ იანვრამდე რაიონის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში გადაამოწმოს სწავლების ტექნიკური საშუალებების აღრიცხვის, შენახვის, დაცვისა და გამოყენების მდგომარეობა, შედეგები განიხილოს სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე, დასახოს და განახორციელოს საჭირო ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

2. 2. უზრუნველყოს განათლების განყოფილების ცენტრალურ ბუღალტერიასა და სასოფლო საბჭოებში აღრიცხული სწავლების ტექნიკური საშუალებების შედარება სკოლებში ფაქტიურად არსებულ სწავლების ტექნიკურ საშუალებებთან. სათანადო წესების დაცვით მოახდინოს დანაკლისის ანაზღაურება მატერიალურად პასუხისმგებელი პირებისაგან, რის შესახებ აცნობოს განათლების სამინისტროს მიმდინარე წლის დეკემბრის ბოლომდე.

2. 3. მოაგვაროს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში საინვენტარიზაციო წიგნების წარმოება.

3. მასწავლებელთა მუშაობაზე არასათანადო ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის, რამაც გამოიწვია სწავლების ტექნიკური საშუალებების აღრიცხვის, შენახვის, დაცვისა და გამოყენების საქმეში სერიოზული დარღვევები ქვედა საზანოს მე-2, შროშის და ბოსლევის საშუალო სკოლების დირექტორებს შ. კობახიძეს, ქ. გუგუციძეს, დ. ბედიანიძეს გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური და პირობით იქნან დატოვებული დაკავებულ თანამდებობაზე სასწავლო წლის ბოლომდე.

4. სკოლებში მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის, შენახვისა და დაცვის საქმეში არსებული ნაკლოვანებებისათვის ზესტაფონის მე-2,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-3, ქვედა საზანოს 1-ლ საშუალო სკოლების დირექტორებს გ. ალავიძეს, შ. გიორგაძეს და დ. ურიადმყოფელს გამოეცხადოთ საყვედური.

5. ცხრაწყაროს საშუალო სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორისათვის ამავე სკოლაში ლაბორანტის თანამდებობის უკანონოდ შეთავსების გამო სკოლის დირექტორს კ. გიორგაძეს გამოეცხადოს საყვედური.

6. ცნობად იქნას მიღებული, რომ სასახლის საშუალო სკოლის დირექტორი დ. ოდიკაძე ამჟამად განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

7. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლების ტექნიკური საშუალებების განაწილების, აღრიცხვის, შენახვის, დაცვისა და სწავლებაში გამოყენების საქმისადმი სუსტი კონტროლისა და დაკისრებული მოვალეობის შესრულებისადმი ზერელე დამოკიდებულებისათვის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს მ. ბუხნიკაშვილს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური და დაევალოს განათლების განყოფილების გამგეს ამხ. მ. სარალიძეს განიხილოს საკითხი დაკავებულ თანამდებობაზე მისი დატოვების მიზანშეწონილობის შესახებ.

8. რაიონის სკოლებისადმი კონტროლისა და მომთხოვნელობის შესუსტებისათვის, რამაც გარკვეულად განაპირობა სკოლებში სწავლების ტექნიკური საშუალებების მოვლა-პატრონობისა და გამოყენების საქმეში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები, ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. მ. სარალიძეს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

9. სასწავლო კინოსა და ტელეგადაცემათა რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. დ. გვალია):

9. 1. სისტემატური, გეგმაზომიერი ხასიათი მისცეს რესპუბლიკის სკოლებში სწავლების ტექნიკური საშუალებების აღრიცხვის, მოვლის, დაცვისა და სწავლებაში გამოყენების შემოწმებას და საჭირო მეთოდური დახმარება გაუწიოს მუშაობაში რაიონების (ქალაქების) მეთოდურ კაბინეტებს, ფილმოთეკებსა და ცალკეულ მასწავლებლებს.

9. 2. 1982 წლის 1 იანვრამდე დააზუსტოს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არსებული დაუმონტაჟებელი ლინგაფონური კაბინეტების რაოდენობა და სამონტაჟო სამუშაოების შესასრულებლად წარუდგინოს განათლების სამინისტროს სპეციალიზებულ სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს.

10. გადაწყვეტილებისა და სკოლების სამმართველოს ცნობის „ზესტაფონის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ტექნიკურ საშუალებათა აღრიცხვის, შენახვის, დაცვისა და სწავლებაში გამოყენების შესწავლის შედეგების შესახებ“ შინაარსი გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“ (ამხ. ნ. შველიძე) და დაიბეჭდოს სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

11. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი) მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს გადაამოწმოს ზესტაფონის რაიონის სკოლებში სწავლების ტექნიკური საშუალებების მოვლა-პატრონობისა და გამოყენების მდგომარეობა და შედეგები მოახსენოს კოლეგიას.

**კოლეგიის თავმჯდომარე,**

**მინისტრი** **ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

F-4864

# ც ნ ო ბ ა

**ზესტაფონის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ტექნიკურ საშუალებათა აღრიცხვის, შენახვის, დაცვისა და სწავლებაში გამოყენების შესწავლის შედეგების შ ე ს ა ხ ე ბ**

ზესტაფონის რაიონის სკოლებში გარკვეული ყურადღება ექცევა სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიების სწავლების ტექნიკური საშუალებით აღჭურვას, მოვლას და სწავლებაში გამოყენებას, სკოლებში სისტემატურად იზრდება ახალი სასწავლო ტექნიკის რაოდენობა. 1976—1980 წლებში რაიონის სკოლებმა მიიღეს სხვადასხვა დასახელების 296 ცალი, ხოლო 1981 წელს — 109 ცალი სწავლების ტექნიკური საშუალებები.

განათლების განყოფილებას (გამგე მ. სარალიძე) და მეთოდურ კაბინეტს (გამგე ც. საყვარელიძე) შესწავლილი აქვთ სწავლების ტექნიკური საშუალებების აღრიცხვის, მოვლა-პატრონობისა და მათი გამოყენების მდგომარეობა ქალაქის 1-ლ, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 საზანოს 1-ლ, ზოვრეთის 1-ლ, სვირის რვაწლიან, ცხენისწყაროს რვაწლიან, შორაპნის, ცხრაწყაროს და არგვეთის საშუალო სკოლებში, შემოწმების მასალები განხილულია სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე.

სხვა სკოლებთან შედარებით სწავლების ტექნიკური საშუალებების აღრიცხვის, შენახვისა და სწავლებაში გამოყენების საქმე უკეთესად არის დაყენებული ქალაქის 1-ლ (დირექტორი ზ. კვინიკაძე), მე-4 (დირექტორი ზ. გველესიანი), მე-5 (დირექტორი ა. ფოფხაძე), ქვედა საზანოს 1-ლ (დირექტორი შ. ურიადმყოფელი) და ზედა საზანოს (დირექტორი ბ. მაჩიტაძე) საშუალო სკოლებში.

ამასთან ერთად, ზესტაფონის რაიონის რიგ სკოლებში ტექნიკურ საშუალებათა აღრიცხვის, შენახვის, დაცვისა და სწავლებაში გამოყენების საქმე მოუგვარებელია.

ქალაქის მე-2 და მე-4 საშუალო სკოლებში რადიოკვანძის ოთახი (12 კვ. მ. ფართობით) გამოყენებულია ტექნიკურ საშუალებათა საცავად, რომელშიც ინახება 12—14 ცალი სხვადასხვა დასახელების სწავლების ტექნიკური საშუალებები. ფაქტიურად ეს არის არა ტექნიკურ საშუალებათა კაბინეტი, არამედ საწყობი. აღნიშნული სკოლები გადასულია სწავლების კაბინეტურ სისტემაზე, ორივე სკოლაში დანიშნული არიან ტექნიკურ საშუალებათა კაბინეტის ლაბორანტები მაშინ, როდესაც სკოლების სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით ორ წელზე მეტია, რაც სწავლების ტექნიკურ საშუალებათა კაბინეტები გაუქმებულია და, ცხადია, არც ლაბორანტები უნდა იყოს დანიშნული. გარდა ამისა, მე-2 საშუალო სკოლაში არ აღმოჩნდა 38 მანეთის ღირებულების ერთი ცალი ეპიდიასკოპი, გაძარცულია ლინგაფონის კაბინეტი და დღემდე არ არის აღდგენილი, მას აკლია მაგნიტოფონი,



კ. მარქსის სახ. სახ. სახელმწიფო რესპუბლ. ბიბლიოთეკა

5 ცალი ფირსაკრავი და 6 ცალი ყურსასმენი, არ არის გატარებული ინვენტარიზაციის წიგნში კოდოსკოპი „ლეხ-3“ და ლინგაფონის კაბინეტი, რომელიც მიღებულია 1981 წელს.

აგრეთვე გაძარცულია ლინგაფონის კაბინეტი მე-4 საშუალო სკოლაში, მას აკლია 10 მიკროფონი, სკოლას მიღებული აქვს, მაგრამ ინვენტარიზაციის წიგნში გატარებული არ არის 1671 მანეთის ღირებულების რადიოკვანძი, დიაპროექტორი ეტიუდი და ეპიდიასკოპი).

ქალაქის მე-3 საშუალო სკოლაში (დირექტორი შ. გიორგაძე) სწავლების ტექნიკური საშუალებები ფიზიკის კაბინეტში ინახება. მათ იყენებენ მხოლოდ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლები. ტელევიზორი და რადიომიმღები ინახება დირექტორის მოადგილეების კაბინეტში, სკოლაში არ აღმოჩნდა 10 მანეთის ღირებულების ერთი ცალი და 3 ცალი 202 მანეთის ღირებულების ფილმოსკოპი და ფოტოაპარატი. დირექტორის განმარტებით ერთი ფოტოაპარატი წაღებული აქვს მოსწავლეს, ხოლო ერთი პარტიის რაიკომის მუშაკს.

საზანოს 1-ლ საშუალო სკოლაში (დირექტორი უ. ურიადმყოფელი) არ აღმოჩნდა 99 მანეთის ღირებულების ერთი ცალი სპიდოლა „ვეფ“-202, 197 მანეთის ღირებულების ერთი ცალი სპიდოლა „ვეფ“-ი, 20 მანეთის ღირებულების ერთი ცალი ფილმოპროექტორი, 67 მანეთის ღირებულების 2 ცალი ფოტოაპარატი „ვილია“ და 47 მანეთის ღირებულების ერთი ცალი ფოტოაპარატი „ორიონი“.

ასევე, ქვედა საზანოს მე-2 საშუალო სკოლაში (დირექტორი შ. კობახიძე) 8 დასახელების სწავლების ტექნიკური საშუალებები შეფუთულ მდგომარეობაში თავმოყრილია ფიზიკის კაბინეტში, გაძარცულია ფილმოსკოპი, ტელევიზორი „ლირა“, ეპიდიასკოპი. ადგილზე არ აღმოჩნდა 47 მანეთის ღირებულების ერთი ცალი ფოტოაპარატი „ორიონი“, 10 მანეთის ღირებულების ფილმოსკოპი, 20 მანეთის ღირებულების ეპიპროექტორი „ეტიუდი“ და 84 მანეთის ღირებულების ერთი ცალი რადიომიმღები „სონატა“. დირექტორმა ვერ გაგვცა პასუხი ზემოაღნიშნული ტექნიკური საშუალებების ადგილსამყოფელის შესახებ.

განათლების განყოფილებამ ვერ აგვიხსნა თუ რა მიზნით გადაეცა სასახლის საშუალო სკოლას (დირექტორი დ. ოდიკაძე) 10 ცალი ფირსაკრავი, მაშინ როდესაც, ისინი შეფუთულ მდგომარეობაში კარადებში ინახება. სასახლის სკოლას 1978—1979 წლებში მიღებული აქვს 4 ცალი ტრანზისტორი, ორი მათგანი ტექნიკურად დაზიანებულია, სკოლაში არ აღმოჩნდა 67 მანეთის ღირებულების 2 ცალი ფოტოაპარატი „ვილია“, 47 მანეთის ღირებულების ფოტოაპარატი „სილუეტი“, 94 მანეთის ღირებულების ერთი ცალი სპიდოლა „ვეფ“-ი.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ბოსლევის საშუალო სკოლაში (დირექტორი დ. ბედიანიძე), სადაც გაძარცულია კინოპროექტო-



ეროვნული ბიბლიოთეკა

რები „უკრაინა“ და „სახკოლო“. გამოუყენებელია სკოლაში არსებული სწავლების ტექნიკური საშუალებები, შეფუთულია ეპიპროექტორი „კვანტონი“ და მაგნიტოფონი. შემოწმების პერიოდში სკოლაში არ აღმოჩნდა 67 მანეთის ღირებულების 4 ცალი ფოტოაპარატი, 20 მანეთის ღირებულების ერთი ცალი ფილმოპროექტორი და მაგნიტოფონი „ლირა“. სკოლის დირექტორის განმარტებით აპარატები ინახება მასწავლებლებთან სახლში, ხოლო მაგნიტოფონი თითქოს შესაკეთებლად ჩაბარებული ქონდა ფილმოთეკას. სინამდვილეში აღნიშნული მაგნიტოფონი „ლირა“ ფილმოთეკას შემოწმების შემდეგ ჩაბარდა.

შორაპნის საშუალო სკოლაში (დირექტორი თ. სარალიძე) 1980 წლის დეკემბერში საბუთების მიხედვით ჩამოწერილია 99 მანეთის ღირებულების რადიომიმღები „ვეფ“-202, რომელიც სკოლამ 1978 წელს შეიძინა. როგორც შემოწმებით დადგინდა, „ვეფ“-202-ის ნაცვლად ჩამოწერილია საიდანღაც მოტანილი 93 მანეთის ღირებულების „ვეფ“-12, რომელიც სკოლას არ აწერია. ჩამოწერილი აპარატი ამჟამად ინახება სკოლის დირექტორთან. ეს იმას ნიშნავს, რომ „ვეფ-202“ მითვისებულია, ხოლო ჩამოწერილია საიდანღაც მოტანილი „ვეფ-12“. შემოწმების დროს სკოლაში, აგრეთვე, არ აღმოჩნდა 75 და 84 მანეთის ღირებულების 2 ცალი რადიომიმღები.

შროშის საშუალო სკოლაში (დირექტორი ქ. გუგუციძე) შემოწმების დროს არ აღმოჩნდა 555 მანეთის ღირებულების კინოპროექტორი „უკრაინა“, 10 მანეთის ღირებულების 3 ცალი ფილმოსკოპი, მაგნიტოფონი „რეკორდი“, 1 ცალი რადიოლა, რომელიც მიღებულია 1979—1980 წლებში.

გარკვეული ნაკლოვანებებია სწავლების ტექნიკური საშუალებების დაცვის საკითხში ძირულას საშუალო სკოლაში (დირექტორი პ. შველიძე).

სათანადოდ არ არის აღრიცხული, დაცული და გამოყენებული სწავლების ტექნიკური საშუალებები არგვეთის საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. თაბუკაშვილი), ჭიანურდება სასკოლო ტექნიკის რემონტი.

ზემოაღნიშნული დარღვევები გამოწვეულია ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილების არაეფექტური მუშაობით. მიმდინარე წლის მაისის თვეში განათლების საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება სწავლების ტექნიკური საშუალებების მოვლა-პატრონობისა და გამოყენების შესახებ. ამ დადგენილებით რაიონის სკოლებს დაევალათ მკაცრი კონტროლის დაწესება სასკოლო ტექნიკის აღრიცხვასა და მოვლა-პატრონობაზე, დანაკლისის გამოვლინების შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული ზომების მიღება მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიმართ, მაგრამ დადგენილების შესასრულებლად თითქმის არაფერი გაკეთებულა. დადგენილება ფორმალურ ხასიათს ატარებს, მიღებული ღონისძიებები დღემდე არ სრულდება, არ არის აღდგენილი ლინგაფონის კაბინეტები მე-2 და მე-4 საშუალო სკოლებში, რაიონის

10 სკოლაში ადგილზე არ აღმოჩნდა საკმაო რაოდენობის სწავლების ტექნიკური საშუალებები, რომლებიც სკოლებს 1977—1980 წლებში შეუძენიათ.

რაიონის განათლების განყოფილებას და რაიონის სკოლებს არ გააჩნიათ სწავლების ტექნიკური საშუალებებით კაბინეტების აღჭურვის პერსპექტიული გეგმები, 27 საშუალო სკოლიდან 18 გადასულია სწავლების კაბინეტურ სისტემაზე, მაგრამ შემოწმებამ გვიჩვენა, რომ მხოლოდ 6 სკოლაში არის შექმნილი კაბინეტები, სადაც სხვა სკოლებთან შედარებით ყურადღება ექცევა კაბინეტების სწავლების ტექნიკური საშუალებებით აღჭურვას, დანარჩენ სკოლებში არსებული სწავლების ტექნიკური საშუალებები, ძირითადად, თავმოყრილია ფიზიკის კაბინეტში. მასწავლებლები ნაკლებად იყენებენ მათ გაკვეთილის პროცესში, ან როგორ გამოიყენებენ, როცა ნაწილი მასწავლებლებისა ტექნიკურ საშუალებებს დაუფლებულიც კი არ არის, ამავე დროს, ლაბორანტების ერთმა ნაწილმა არ იცის ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება, ვერ ერკვევა სწავლების ტექნიკური საშუალებების დასახელებებში. ცხრაწყაროს საშუალო სკოლაში (დირექტორი კ. გიორგაძე) ლაბორანტის მოვალეობას ასრულებს სკოლის ორგანიზატორი ძირითადი ლაბორანტის დეკრეტულ შვებულებაში გასვლის გამო.

აღნიშნული დარღვევები განპირობებულია ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილების და ფილმოთეკის არაეფექტური ხელმძღვანელობით (ინსპექტორი ვ. ბუხნიკაშვილი). სწავლების ტექნიკური საშუალებები არ ნაწილდება სკოლების მოთხოვნის მიხედვით. ყურადღება არ ექცევა სკოლების მიერ შეძენილი სწავლების ტექნიკური საშუალებების აღრიცხვას, მოვლა-პატრონობას. ბევრ სკოლას არ გააჩნია საინვენტარიზაციო წიგნები, არის მხოლოდ ეგრეთ წოდებული საინვენტარიზაციო ფურცლები. 1980—1981 წლებში შეძენილი სწავლების ტექნიკური საშუალებები სკოლის დირექტორების მიერ განაწილებული არ არის კაბინეტების მიხედვით, შეტანილი არ არის ეგრეთ წოდებულ ინვენტარიზაციის ფურცლებში და შეფუთულ მდგომარეობაში ფიზიკის ან ტექნიკური საშუალებების კაბინეტებში ინახება. განათლების განყოფილების მუშაკები სკოლების შემოწმების დროს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სწავლების ტექნიკური საშუალებების გამოყენებისა და შენახვის მდგომარეობის შესწავლას.

ბოლო ორი წლის მანძილზე სკოლებს პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე და არც თათბირებზე განხილული არა აქვთ სწავლების ტექნიკური საშუალებების გამოყენების საკითხი, დირექციის მიერ არ ხდება გაკვეთილის მოსმენა სწავლების ტექნიკური საშუალებების გამოყენების ეფექტურობის დადგენის მიზნით.

განათლების განყოფილება და სკოლები ფორმალურად მოეკიდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 13

აპრილის დადგენილების მოთხოვნათა შესრულებას, აღნიშნული საკითხი ფორმალურად განიხილეს სახალხო განათლების საბჭოზე, არ დასახეს და არ გაატარეს ქმედითი ღონისძიებები. ამის გამო ადრე ჩატარებული შემოწმებების შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებები არა თუ შემცირდა, გაიზარდა კიდეც.

შემდგომში რაიონის განათლების განყოფილებისა და სკოლების დირექტორების პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით საჭიროა მათ მიმართ გატარდეს ადმინისტრაციული ღონისძიებები.

**სკოლების სამმართველო**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება

### გორისა და კასპის რაიონების ბოშურის, საყავრიის, ქვემოჭალისა და ახალქალაქის სასკოლო ინტერნატების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მოწონებულ იქნას სკოლების სამმართველოს ცნობა გორისა და კასპის რაიონების ბოშურის, საყავრიის, ქვემოჭალისა და ახალქალაქის სასკოლო ინტერნატების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ (თან ერთვის).

2. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს ცნობა გორისა და კასპის რაიონების ბოშურის, საყავრიის, ქვემოჭალისა და ახალქალაქის სასკოლო ინტერნატების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებებს, მათვე დაევალოთ განუხრელად იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული ინტერნატების მუშაობის შესახებ“.

3. დაევალოს გორისა და კასპის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს (ამხ. ამხ. ა. ჩხეიძე, გ. შაქარაშვილი) უმოკლეს ვადაში განახორციელონ საჭირო ღონისძიებები ცნობაში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

4. გატარებულ ღონისძიებათა შესახებ ინფორმაცია წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს 1982 წლის თებერვალში.

5. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) უმოკლეს დროში უზრუნველყოს გორისა და კასპის რაიონების სასკოლო ინტერნატების მომარაგება რბილი და მაგარი ინვენტარით თანახმად განაცხადისა.

6. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ბ. აფხაზავა) 1983 წლისათვის გაითვალისწინოს ბოშურის სასკოლო ინტერნატისათვის საცხოვრებელი, ხოლო საყავრიის რვაწლიანი სკოლისათვის ტიპური შენობების მშენებლობა.

7. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. კ. სუჯაშვილი).

**კოლეგიის თავმჯდომარე,**

**მინისტრი ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ც ნ ო ბ ა

## გორისა და კასპის რაიონების ბოშურის, საყავრიის, ქვემოჭალისა და ახალქალაქის სასკოლო ინტერნატების მუშაობის შემოწმების შედეგების შ ე ს ა ხ ე ბ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის დადგენილების „სოფლის სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და აღნიშნულ საკითხზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 5 ნოემბრის № 767 ბრძანების შესასრულებლად გორისა და კასპის რაიონების სახალხო განათლების ორგანოების მიერ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად მიღწეულია ერთგვარი წარმატებები სასკოლო ინტერნატების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში, რასაც ხელი შეუწყო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებამ „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული ინტერნატების მუშაობის შესახებ“, რომელიც სახელმძღვანელოდ და განსახილველად გაეგზავნა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებებს.

აღნიშნულ რაიონებში ერთგვარად გაიზარდა სახალხო განათლების ორგანოების და სოფლის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა და კონტროლი სასკოლო ინტერნატების მატერიალური ბაზის, მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის სრულყოფისა და შრომისათვის მათი მომზადებისათვის. სასკოლო ინტერნატების აღსაზრდელები, ისევე როგორც სხვა მოსწავლეები, მაქსიმალურად იყენებენ კაბინეტ-ლაბორატორიებს და ტექნიკურ საშუალებებს, რაც დადებითად მოქმედებს მათ აკადემიურ წარმატებებზე, გაუმჯობესდა რბილი და მაგარი ინვენტარით, სასწავლო ნივთებით სასკოლო ინტერნატების მომარაგება.

გორის რაიონის ბოშურისა და საყავრიის სასკოლო ინტერნატების 140 აღსაზრდელი სარგებლობს უფასო სამჯერადი კვებით. როგორც გორის, ისე კასპის რაიონებში (განყოფილების გამგეები: ა. ჩხეიძე, გ. შაქარაშვილი), ძირითადად, გადაწყვეტილია 3 და მეტ კილომეტრიდან მოსიარულე ბავშვთა ტრანსპორტირებისა და ინტერნატში მოწყობის საქმე.

ეს შედეგები მიღწეულია იმითაც, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და განათლების ორგანოები აღნიშნულ რაიონებში პერიოდულად იხილავენ სასკოლო ინტერნატების მუშაობის საკითხებს.

1980 წლის 21 მაისს გორის რაიკომის ბიურომ განიხილა ბოშურისა და საყავრიის სასკოლო ინტერნატების მუშაობის საკითხი, ხოლო გორის რაიონის სახალხო განათლების საბჭომ სასკოლო ინტერნატების

მუშაობა ორჯერ განიხილა 1981 წლის 22 ივლისს და 14 ოქტომბერს. ანალოგიური საკითხი განიხილა კასპის რაიონის განათლების საბჭომ 1980 წლის 28 თებერვალს და 1981 წლის 15 სექტემბერს.

მიუხედავად ამისა, განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ აღნიშნული რაიონების სასკოლო ინტერნატების მუშაობაში გამოავლინა შესამჩნევი ნაკლოვანებები:

სასკოლო ინტერნატების მატერიალური ბაზა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს დადგენილ სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს: გორის რაიონის ბოშურის სასკოლო ინტერნატი შეგუებულ შენობაშია მოთავსებული, რომლის ფართობი 135 კვ. მეტრია. თითოეულ ბავშვზე (105 ბავშვია) მოდის 2,1 კვ. მეტრი ნაცვლად 3—4 კვ. მეტრისა, საყავრიის სკოლა-ინტერნატში კი 1,4 კვ. მეტრი. ეს უკანასკნელი დაქირავებულ, ავარიულ შენობაშია. საყავრიის სასკოლო ინტერნატში ადგილი აქვს ბავშვთა დაქირავებულ ბინაში მოთავსებას.

ბოშურის, საყავრიის, ქვემოჭალისა და ახალქალაქის სასკოლო ინტერნატებს არ გააჩნიათ არც ერთი სახის დამხმარე სათავსო (ჰიგიენური ოთახები გოგონებისათვის, იზოლატორი, აბანო, ტანსაცმლის გასაშრობი); კეთილმოუწყობელია პირსაბანები და ფეხსაბანები. სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა საჭიროებს მეტ და ყოველდღიურ ყურადღებას.

ნაკლოვანებებია ინტერნატში მოსწავლეთა ჩარიცხვის საწესდებო მოთხოვნების დაცვის საქმეში (ბოშურის და საყავრიის სკოლა-ინტერნატებში ბავშვების ჩარიცხვა მოხდა ისე, რომ ყველა მშობელს განცხადება არ ქონდა შეტანილი, საყავრიისა და კასპის რაიონის ახალქალაქის სასკოლო ინტერნატებში ბავშვების ჩარიცხვა ბრძანებით არაა გაფორმებული).

სასკოლო ინტერნატების ხელმძღვანელთა არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო სრულყოფილად არ ხდება სასკოლო ინტერნატისათვის გათვალისწინებული ბიუჯეტის თანხების ათვისება. ბოშურის სასკოლო ინტერნატისათვის კვების ხარჯები 1981 წლის გეგმით შეადგენს 13000 მანეთს, 9 თვეში ათვისებულია მხოლოდ 3200 მანეთი. ასევე აუთვისებელია რბილი ინვენტარის თანხა 900 მანეთი. ანალოგიური მდგომარეობაა ამავე რაიონის საყავრიის და კასპის რაიონის ახალქალაქის სასკოლო ინტერნატებში. საყავრიის სასკოლო ინტერნატში ათვისებული არ იყო რბილი ინვენტარის შესაძენად გათვალისწინებული თანხა 1000 მანეთის ოდენობით, ხოლო ახალქალაქის სასკოლო ინტერნატში 450 მანეთით. თითქმის ყველა სასკოლო ინტერნატს აკლია ტუმბოები, ტანსაცმლის და ფეხსაცმლის შესანახი კარადები, ხოლო ბოშურის და საყავრიის სასკოლო ინტერნატებს—თეთრეული. არც ერთ ინტერნატში მარკირებული არ არის ინვენტარი (ბოშურში ნაწილობრივ), რაც აძნელებს მისი ხმარებაში მიღების თარიღის დადგენას.

ნაკლოვანებებით ხასიათდება მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვე-

ზის საქმე, რაც უპირველესად გამოწვეულია იმით, რომ სასკოლო ინტერნატები რეგულარულად არ მარაგდებიან კვების ისეთი პროდუქტებით, როგორიცაა ხორცი, კარტოფილი, ყველი, ბოსტნეული, ხილი, ხაჭო, რძე, თევზი, რის გამოც ათვისებული არ არის როგორც საერთო, ისე თითოეულ ბავშვზე ნორმით გათვალისწინებული თანხა. ბოშურის სასკოლო ინტერნატში თითოეულ ბავშვზე ნაცვლად 1 მანეთისა და 20 კაპიკისა დახარჯულია 65 კაპიკი, ახალქალაქის სასკოლო ინტერნატში 91 კაპიკის ნაცვლად 80 კაპიკი. საყავრიის სასკოლო ინტერნატში კი 82 კაპიკის ნაცვლად 68 კაპიკი.

გორის რაიონის ბოშურისა და საყავრიის სასკოლო ინტერნატების 150 აღსაზრდელი ჭარბი შემოსავლების ხარჯებიდან მთლიანად გათავისუფლებულია კვების საფასურიდან, ხოლო კასპის რაიონის ქვემოჭალისა და ახალქალაქის სასკოლო ინტერნატებში შესაბამისად გათავისუფლებულია 5—4 აღსაზრდელი.

ბოშურის, საყავრიისა და ახალქალაქის საზკვების ბლოკები უზრუნველყოფილი არ არის გამდინარე ცივი და ცხელი წყლით, მოუგვარებელია სასაწყობო მეურნეობა. ახალქალაქის სასკოლო ინტერნატში თეთრეული და პროდუქტები ერთად ინახება.

გორის რაიონის ბოშურისა და კასპის რაიონის ქვემოჭალის სასკოლო ინტერნატებში დარღვეულია მენიუს შედგენის წესი. მენიუს ადგენენ აღმზრდელები და მისი დამოწმება ხდება სკოლის ბეჭდით, ნაცვლად იმისა, რომ მას ადგენდეს საბჭოს ბუღალტერი აღმზრდელებთან და ექიმთან ერთად (სადაც ექიმია) და დამოწმება ხდებოდეს საბჭოს ბეჭდით. მენიუში გამოყვანილი არ არის საერთო და თითოეულ ბავშვზე დახარჯული თანხისა და კალორიულობის რაოდენობა.

სასკოლო ინტერნატებში, მიუხედავად სასწავლო პროცესის ერთგვარი გაუმჯობესებისა, კვლავ გადაუჭრელია დღის მეორე ნახევარში საშინაო დავალებებზე მუშაობის ეფექტურად წარმართვის საქმე.

არ არის დამყარებული საქმიანი კონტაქტი აღმზრდელებსა და კლასის ხელმძღვანელებს, აღმზრდელებსა და საგნის მასწავლებლებს შორის. თითქმის ყველგან, გარდა კასპის რაიონის ახალქალაქის სასკოლო ინტერნატისა, სრულყოფილი არ არის აღმზრდელობითი მუშაობის საერთო და ყოველდღიური დაგეგმვა. გეგმები არ იხილება და არ მტკიცდება სკოლის ხელმძღვანელთა მიერ, რიგ შემთხვევაში კი მათი დამტკიცება ხდება ფორმალურად, ყოველგვარი შენიშვნის გარეშე.

სასკოლო ინტერნატებში შექმნილი არ არის მოსწავლეთა საბჭო, პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე არ იხილება სასკოლო ინტერნატის მუშაობის საკითხები.

აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისით ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ სასკოლო ინტერნატებს, ვინაიდან უბნის მედდები საჭირო ღონისძიებებს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატარებენ ყოველდღიური სამედიცინო დახმარებისათვის, არ ხდება ბავშვების ღრმა სამედიცინო შემოწმება.

სასკოლო ინტერნატებს არავითარ დახმარებას არ უწევენ შეფორგანიზაციები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ახალქალაქის სასკოლო ინტერნატს შეფორგანიზაციამ გამოუყო საცდელი ნაკვეთი 0,5 ჰექტარის რაოდენობით.

გორისა და კასპის რაიონების სასკოლო ინტერნატებში არსებული შემოაღნიშნული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ სკოლის დირექტორები, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები ყურადღებით არ ეკიდებიან სასკოლო ინტერნატების მუშაობის გასაუმჯობესებლად ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სახალხო განათლების ორგანოების მიერ მიღებული დადგენილებების შესრულების საქმეს.

შემოწმების პერიოდში (6—17 ოქტომბერი) ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებთან ერთად განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

1. ყველა სასკოლო ინტერნატში დამყარდა სანიტარიული წესრიგი.

2. გასწორდა ის ხარვეზები, რასაც ადგილი ქონდა დღის მეორე ნახევარში აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, კერძოდ დაგეგმვის ორგანიზაციაში, მოსწავლეთა მორიგეობისა და თვითმომსახურების დანერგვაში. სასკოლო ინტერნატების მუშაკებს ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი მენიუს შედგენისა და მისი სრულყოფის საკითხებზე.

3. გორის რაიონის ბოშურის სასკოლო ინტერნატში შეყვანილ იქნა ელექტროდენი და გამდინარე წყალი, სამედიცინო ოთახების ხარჯზე გაფართოვდა საცხოვრებელი ფართობის რაოდენობა.

4. შეთანხმებულია საკითხი ახალქალაქის სასკოლო ინტერნატში სასმელი და სამეურნეო წყლის შეყვანისა და ინტერნატის შენობიდან სასოფლო ბიბლიოთეკის გამოყვანის შესახებ. ბიბლიოთეკის მიერ დაკავებული 15 კვ. მეტრი ფართობის ოთახი გამოყენებულ იქნება პროდუქტების საწყობად.

5. შეთანხმებულია საკითხი კასპის რაიონის ქვემოჭალის სასკოლო ინტერნატის სამედიცინო ოთახის რემონტის ჩატარების (ჭერი ჩამონგრეულია), საძინებელი კორპუსის გამდინარე წყლით, ჰიგიენური ოთახებით უზრუნველყოფისა და იზოლატორის მოწყობის შესახებ.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარ სამმართველოს წარედგინა განაცხადი გორისა და კასპის რაიონების სასკოლო ინტერნატების რბილი და მაგარი ინვენტარით მომარაგების შესახებ.

7. გამოვლენილი ნაკლოვანებების გამო შემოწმების პერიოდში გატარდა ორგანიზაციული ღონისძიებები:

ა) განთავისუფლდა თანამდებობიდან ბოშურის სასკოლო ინტერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატის გამგე თ. თინიკაშვილი, როგორც ამ თანამდებობისათვის შეუ-ფერებელი.

ბ) სკოლის დირექტორი ო. ხუბულური სასკოლო ინტერნატის მუ-შაობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის თანამდებობაზე პირო-ბით იქნა დატოვებული და გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

გ) მკაცრად გაფრთხილდნენ განათლების განყოფილების სასკო-ლო ინსპექტორი გ. ლიჩელი და მეთოდკაბინეტის გამგე ნ. ბუჟღუა-შვილი ინტერნატისათვის არასაკმაო დახმარებისა და კონტროლისა-თვის.

დ) მიზანშეუწონლად ჩაითვალა ინტერნატის აღმზრდელების მუ-შაობა, რისთვისაც ბოშურის სკოლის დირექტორს დაევალა შრომის კანონმდებლობის დაცვით ა/წ 1 ნოემბრამდე უზრუნველყოს მათი შე-ცვლა კვალიფიციური კადრებით.

საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამ-მართველოსთან არსებული სასკოლო ინტერნატების მუშაობაზე ორგა-ნიზაციული ხელმძღვანელობისა და დახმარების სპეციალური ჯგუფის ცნობა გორისა და კასპის რაიონების ბოშურის, საყავრეის, ქვემოჭალი-სა და ახალქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული ინტერნატების მუშაობის შესახებ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ გო-რისა და კასპის რაიონების განათლების განყოფილებებს.

2. კასპის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ აღნიშ-ნული ცნობა განიხილოს სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღ-მოფხვრის და სასკოლო ინტერნატებში მუშაობის ნორმალური პირობე-ბის შექმნის მიზნით.

2. 1. მიღებულ იქნას ცნობად, რომ გორის რაიონის სახალხო გა-ნათლების განყოფილების საბჭომ 1981 წლის 14 ოქტომბერს განი-ხილა ბოშურის საშუალო და საყავრეის რვაწლიან სკოლებთან არსე-ბული ინტერნატების მუშაობა, მკაცრად დასაჯა სკოლის დირექტო-რები, ხოლო სუსტი მუშაობისათვის ბოშურის სასკოლო ინტერნატის გამგე თ. თინიკაშვილი გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან.

2. 2. მიღებულ იქნა ცნობად გორის რაიონის განათლების განყო-ფილების გამგის ამხ. ა. ჩხეიძის განცხადება იმის შესახებ, რომ საყავ-რეის სასკოლო ინტერნატის კვების ბლოკი საცხოვრებელი ოთახები-დან სასწრაფოდ გადატანლია სასადილოსათვის სპეციალურად აგებულ ფინურ სახლში.

2. 3. სასკოლო ინტერნატების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანე-ბათა აღმოფხვრის მიზნით ღონისძიებათა შემუშავებისას განუხრელად იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის № 471 დადგენილებით „სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების შე-

დგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 5 ნოემბრის № 767 შესაბამისი ბრძანებით.

2. 4. ოპერატიული ხელმძღვანელობა და კონტროლი დააწესონ სასკოლო ინტერნატების მუშაობაზე, რათა სრულყონ ინტერნატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გადაჭრით გააუმჯობესონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი.

შესაბამის ორგანოებთან ერთად იზრუნონ მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, დროულად მოამარაგონ კვების ობიექტები მაღალხარისხოვანი და კალორიული პროდუქტებით. ეფექტურად გამოიყენონ ინტერნატისათვის გამოყოფილი ასიგნებანი, დაამყარონ სრული სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, მიაღწიონ აღსაზრდელთა მაღალ სამედიცინო მომსახურებას.

2. 5. მოამარაგონ სასკოლო ინტერნატები ნორმით გათვალისწინებული რბილი და მაგარი ინვენტარით, სრულ წესრიგში მოიყვანონ მისი აღრიცხვა-მარკირება.

წესრიგი დაამყარონ სამეურნეო საკითხების მოგვარებაში, სასკოლო ინტერნატების გამდინარე ცივი და ცხელი წყლით მომარაგებაში და გათბობის ქსელის მოწესრიგებაში. წესრიგში მოიყვანონ და სადაც არ არის მოაწყონ დამხმარე სათავსოები, ფეხსაბანები და ხელსაბანები, იზოლატორი, აბანო.

2. 6. აამაღლონ მომთხოვნელობა და პირადი პასუხისმგებლობა სკოლების დირექტორებისადმი სასკოლო ინტერნატებში აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

შეურიგებლობის ატმოსფერო შექმნან იმ ხელმძღვანელთა გარშემო, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სასკოლო ინტერნატების ნორმალურ მუშაობას. სისტემატურად იზრუნონ აღმზრდელთა კადრების სწორად შერჩევის და მათი პედაგოგიური დაოსტატებისათვის.

2. 7. გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინონ განათლების სამინისტროში 1982 წლის თებერვალში.

**სკოლების სამმართველო**

Одобрено решением коллегии Минпроса Грузинской ССР
от 19 ноября 1981 года

# ПРЕДЛОЖЕНИЯ

**Министерства просвещения Грузинской ССР по кандидатам в участники выставки «Материально-техническая база школы и дальнейшее совершенствование учебно-воспитательного процесса» в павильоне «Народное образование» ВДНХ СССР», в 1982 году**

| №№ п.п | Наименование тем, разделов выставки, по которым представляется экспонат | Организации, учреждения, представляющие тему или экспонат | Форма показа (альбом) папка, турникет, витрина, стенд, натурный образец ТСО или учебного оборудования, макет, модель, книга, методические разработки, фрагменты учебных кабинетов, слайды, магнитозапись, или видеозапись, к/фильм (35 мм); брошюра | Краткое содерхание (аннотация) представляемых экспонатов. Где и когда пропагандировался или рассматривался представляемый опыт, его новизна, внедрение, результаты | Что будет издано по данной теме или экспонату |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | Новые учебные пособия и учебное оборудование — по химии. | Средная школа № I г. Поти, преподаватель химии Чачуа М. К. | Витрина с натурными образцами — самодельными комбинированными приборами по химии. Методическая разработка «Как я создаю и | Приборы предназначены для изучения различных химических процессов (сжигания натрия, фосфора в хлоре, получение и свойства хлора, хлороводорода, аммиака и др.) Подробное описание конструирования приборов и их применения в практике преподавания. | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|
| | | | использую комбинированные приборы по химии | | |
| | | | Проспект кабинета химии. | Фоторассказ о работе преподавателя по созданию образцового, лучшего в республике кабинета химии, формах и методах работы, способствующих оптимизации учебно-воспитательного процесса. Опыт пропагандировался в местной педагогической прессе, на республиканских педчтениях, общереспубликанских семинарах по обмену опытом на базе кабинета, в журнале «Химия в школе». | Проспект |
| 2 | Новые учебные пособия и учебное оборудование — по географии | Средная школа № 12 г. Кутаиси, преподаватель географии Чулухадзе А. В. | Макет кабинета географии, размеры 40 × 60 | Макет дает представление о кабинете географии, оборудованном в соответствии с требованиями времни, особенность кабинета—механизированная подготовка рабочих мест школьников. | |
| | | | Планшет кабинета. | Дает схематическое изображение кабинета. | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| | | | Методическая разработка «Комплексное использование средств обучения в процессе преподавания географии на базе учебного кабинета». | Сообщает о повышении эффективности учебно-воспитательного процесса в результате комплексного использования средств обучения, приемах, активизации учащихся на разных этапах урока и во внеурочное время, в процессе проведения таких форм учебной деятельности как прессконференции, изучение промышленных предприятий города, геологические экспедиции, природоохранительное просвещение среди неселения. Опыт пропагандировался на республиканских педчтениях, в журнале »География в школе». |
| 3 | Новые учебные пособия и учебное оборудование | Курсебская Средняя школа Ткибульской зоны, преподаватель географии Беродзе В. В. | Макет географической площадки, размеры 40 × 70 | Макет дает представление о географической площадке — одной из лучших в республике, весь инструментарий ее изготовлен учителем географии совместно с учителем труда. |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|
| | | | Методическая разработ-да «Учебное исследование на базе географической площадки» | Освещает поэтапное формирование у учащихся самостоятельной познавательной деятельности в процессе сочетания обьяснительно-иллюстративного метода с исследованием, проводимым на базе географической площадки. Учебное исследование осуществляется с привлечением методов частных наук. Природоохранительное воспитание школьников строится на основе изучения конкретной местности и поэтому дает высокий педагогический эффект. Опыт пропагандировался в республиканской прессе, на педчтениях, в журнале «География в школе», № 6, 1977 г. | |
| 4 | Новые учебные пособия и учебное оборудование — по литературе | Средняя школа № 1 г. Цхинвали Юго-Осетинской АО, преподаватель литературы Кулиджанова Е. А. | Натурные образцы, самодельные наглядные пособия — рукописные книги «Грибоедов в Грузии», «Пушкин и Грузия» «Лермонтов и Грузия» | Красочно оформленные иллюстрированные рукописные книги содержат интересные материалы о пребывании русских писателей в Грузии, эти материалы-результат краеведческого поиска учащихся осуществляемого , под руководством Музея дружбы народов Грузинской ССР. Работа учащихся включает как составную часть научное исследование и затем используется при изучении соответствующих тематических разделов. Опыт пропагандировался на республиканских педчтениях, в местной педагогической прессе. | |
| 5 | Новые учебные пособия и оборудование — по математике. | Махарадзевская средняя школа, преподаватель математики | Натурные образцы, самодельные приборы по математике, диафильмы, кодофильмы. | Сечение тела; набор геометрических фигур; диа- и кодофильмы предназначены для изучения графиков функций, решения задач, уравнений и неравенств с помощью графиков. Опыт пропагандировался районным методкабинетом на республиканских педчтениях; в местной прессе. | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|
| 6 | — « — | Вечерняя школа № 2 г. Рустави, директор школы Кулошвили А. И. | Альбом «Совершенствование учебно-воспитательного процесса в условиях кабинетной системы». | Фоторассказ о комплексном использовании учебного оборудования кабинетной системы и высоком педагогическом эффекте работы. Опыт освещался в республиканской педагогической прессе. | |
| 7 | Новые учебные пособия и учебное оборудование. | Атенская школа-интернат Горийского р-на, преподаватель изо Мчедлишвили И. Я. | Альбом «Роль кабинета зодчества в деле эстетического воспитания учащихся». | Фоторассказ о работе учащихся на уроках изо в кабинете, во внеурочное время по оформлению школы. Опыт освещался на республиканских педчитениях, в местной прессе. | |
| 8 | Новые учебные пособия и учебное оборудование — по изо | Средная школа № 56 г. Тбилиси, преподаватель изо Мчеладзе Н. Р. | Альбом «Эстетическое воспитание учащихся на базе кабинета изо» | Фоторассказ о новых формах, приемах работы в кабинете изо: рисование под музыку, воспроизведение читательских представлений и др., опыт обобщен Комитетом Гостелерадио СССР в документальном фильме | Проспект кабинета |
| 9 | Новые учебные пособия и учебное оборудование | Средняя школа № 86 г. Тбилиси | Альбом «Друг дружбой силен». | Фоторассказ. Иллюстрированый рассказ о формировании патриотических и интернациональных чувств в процессе комплексного использования средств кабинета грузинского языка и литературы в смешанной русско-армянской школе.<br>Одно из направлений работы — самостоятельный поиск учащихся на местном материале «История Георгиевского трактата».<br>Опыт пропагандировался в республиканской прессе, по местному телевидению. | |

**Зам. Министра М. КОБАХИДЗЕ**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება

### სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის სექტემბრის დადგენილების „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი ამაღლების შესახებ" შესაბამისად რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობას შორის მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების შ ე ს ა ხ ე ბ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი ამაღლების შესახებ" ხაზგასმულია, რომ ჩვენს ქვეყანაში მასობრივი ფიზიკური კულტურის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი სამუშაოა ჩატარებული, რის შედეგადაც ამაღლდა საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობა, გაფართოვდა საერთაშორისო სპორტული კავშირები. ფიზკულტურული მოძრაობის მასშტაბურობა სოციალიზმის ერთ-ერთი ძირითადი მონაპოვარი გახდა.

დადგენილებაში, აგრეთვე, აღნიშნულია, რომ საკავშირო სპორტკომიტეტი, საკავშირო პროფკავშირების ცენტრალური საბჭო, საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, სამინისტროები და უწყებები, მთელი რიგი სპორტული ორგანიზაციები საბჭოთა ხალხის ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში ფიზიკური კულტურის დასანერგავად არ იღებენ საჭირო ზომებს, არაეფექტურად იყენებენ არსებულ მატერიალურ ბაზას. დადგენილებაში ხაზგასმულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის მნიშვნელობაზე, ისეთი ღონისძიებების გამართვაზე, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოსწავლე ახალგაზრდობის ჯანმრთელობის განმტკიცებას, ფიზიკურ სრულყოფას, მაღალი სპორტული შედეგების მოპოვებას.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში შესამჩნევად გაუმჯობესდა ბავშვთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობა. გაიზარდა სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგიური კოლექტივის პასუხისმგებლობა მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და ფიზიკური აღზრდის საკითხებისადმი.

გაკვეთილის ხარისხის ამაღლებამ, ფიზკულტურაში საშინაო დავალების შემოღებამ, დილის გამამხნევებელი ვარჯიშებისა და მოძრავი სპორტული თამაშობების ყოველდღიურად ჩატარებამ, სპორტის მასობრიობის მიზნით მოსამზადებელი ჯგუფების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში გადატანამ, ფიზიკურ კულტურაში მოსწავლეთა წარმატების აღრიცხვისა და სემესტრული და წლიური ნიშნის გამოყვანის ახალი წესის შემოღებამ, ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე მეთოდური

ლიტერატურის გამოცემამ შექმნეს სკოლაში ერთგვარი ფიზკულტურუ-ლი კლიმატი, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო მოსწავლეთა ჯანმრთე-ლობის გაკაჟებას, მათ ფიზიკურ სრულყოფას.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა-მოზარდთა სპორტულ სკოლებში მუშაობის კოორდინაციის, კონტროლისა და ხელ-მძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით 1979 წლის იანვარში განათლე-ბის სამინისტროსთან შეიქმნა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის რეს-პუბლიკური სასწავლო-მეთოდური ცენტრი.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განათლების ორგანოებმა ჯერ კიდევ მთლიანად ვერ გარდაქმნეს თანამედროვე მოთხოვნათა დო-ნეზე მოსწავლე ახალგაზრდობას შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღე-ბელი და სპორტული მუშაობა. დღემდე ნაკლები ყურადღება ექცევა შინასასკოლო და სასკოლათაშორისო ფიზკულტურულ-სპორტული შე-ჯიბრებების მასობრივად გაშლას, მათ საზეიმო ვითარებაში მოწყობას. ყველგან არ არის მიღწეული მშთ ფიზკულტურულ კომპლექსზე დაყრ-დნობით ფიზკულტურის გაკვეთილის მაღალორგანიზაციული დონე. ზოგ სკოლაში შეინიშნება მშთ ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისადმი ფორმალური მიდგომა. დასახვეწია ბავშვთა-მოზარდთა სპორტული სკოლების სტრუქტურა, დებულება, მუშაობის ფორმები და მეთოდები.

გადასინჯვას საჭიროებს ბავშვებთან და მოსწავლე სპორტსმენებ-თან მომუშავე მწვრთნელ-მასწავლებელთა კადრების მომზადება-გადა-მზადების, მათი შერჩევისა და განაწილების საქმე.

განათლების სამინისტროს კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დაევალოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს (ამხ. დ. კვინიკაძე) და განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის რესპუბლიკურ სასწავლო-მეთოდურ ცენტრს (ამხ. ა. ღონ-ღაძე):

1. 1. გადაჭრით გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა მოსწავლე ახალ-გაზრდობის ფიზიკური აღზრდისადმი; განათლების სამინისტროს სისტე-მაში შექმნან მოსწავლეთა ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვი-თარების ერთიანი მართვის სისტემა; შექმნან სათანადო პირობები სას-კოლო ფიზკულტურის კოლექტივების განმტკიცების, მშთ ფიზკულტუ-რული კომპლექსის, ტურიზმისა და საერთო ფიზკულტურული სექ-ციების ზრდისათვის. ყურადღება გაამახვილონ მოსწავლე ახალგაზრ-დობაში შინასასკოლო და სასკოლათაშორისო ფიზკულტურულ-გამა-ჯანსაღებელი ღონისძიებების მასობრივად ჩატარებაზე.

1. 2. უზრუნველყონ სკოლაში სწავლების მთელი პერიოდის მან-ძილზე ფიზიკურ კულტურასა და სპორტში არასასწავლო და ფაკულტა-ტიური მეცადინეობების ჩატარება. დაამუშაონ და განსახილველად წარ-მოადგინონ წინადადებები ფიზიკური აღზრდის არსებულ სასწავლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ. მეტი კონტროლი დააწე-სონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ყოველთვიურად ჯანმრთელობი-

სა და სპორტის დღეებისა და გახანრძლივებული დღის რეჟიმის ჯგუფებში ყოველდღიური ფიზკულტურული მეცადინეობების მოწყობაზე. 1981—1982 სასწავლო წლიდან სავალდებულოდ იქნას მიჩნეული უკლებლივ ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში დილის გამამხნევებელი ვარჯიშების, დიდი დასვენების დროს ფიზიკური ვარჯიშებისა და მოძრავი თამაშობების, გაკვეთილებზე ფიზკულტურული წუთების ჩატარება.

გააუმჯობესონ ფიზკულტურული მეცადინეობა დაწყებითი კლასებისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან. თანმიმდევრულად განახორციელონ დაწყებითი კლასების ფიზკულტურის გაკვეთილების გადაცემა უმაღლესი ფიზკულტურული განათლების მქონე სპეციალისტებზე. მეტი ყურადღება მიაქციონ გამაჯანსაღებელ მეცადინეობას იმ მოსწავლეებთან, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სპეციალურ სამედიცინო ჯგუფს არიან მიკუთვნებულნი.

1. 3. უფრო აქტიურად დანერგონ სკოლებში ბავშვთა სპორტული ასპარეზობა „იმედის სტარტები“, შეჯიბრებები სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზებზე და მშთ ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაზე. გააძლიერონ მუშაობა წვევამდელი ასაკის მოსწავლეთა ფიზიკური მომზადებისათვის, ამ მიზნით მეტი ყურადღება დაუთმონ ტექნიკური და სამხედრო-გამოყენებითი სახეობების სპორტული სექციების მუშაობის გააქტიურებას.

1. 4. მასობრივად გაშალონ ბავშვთა და მოზარდთა შორის საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობა, გააფართოონ ბავშვთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბების ქსელი, ამ საქმეში, პედაგოგიურ კოლექტივებთან ერთად, ფართოდ ჩააბან სპორტსმენ-მოსწავლეთა აქტივი, მოქმედი და ვეტერანი სპორტსმენები, ფიზკულტურისა და სპორტის ენთუზიასტები.

1. 5. განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი შეჯიბრებებისა და შეკრებების მოწყობის მოსაწესრიგებლად, ამ მიზნით სახსრების ყაირათიანი ხარჯვისათვის შეამცირონ რესპუბლიკური და საკავშირო შეჯიბრებებისა და შეკრებების, ასევე სამატჩო შეხვედრების მოწყობის რიცხვი. მკაცრი პასუხისმგებლობა დააკისრონ მათ, ვინც ურიგდება მოსწავლეთა სწავლისაგან მოცდენას, სპორტული ღონისძიებებისათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივი სახსრების ზედმეტ ხარჯვას ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის საზიანოდ.

1. 6. განათლების სამინისტროს სისტემის ყველა ტიპის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებს განუსაზღვრონ მუშაობის ძირითადი მიმართულებანი იმ ვარაუდით, რომ კომპლექსური სკოლების საქმიანობა უმთავრესად მოხმარდეს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციას, რისთვისაც ასეთ სკოლებს დაუმტკიცდეს არსებული ჯგუფების ხელფასის ფონდის ანგარიშში მოსამზადებელი ჯგუფების რაოდენობა, ხოლო ოლიმპიური რეზერვისა და

სპეციალიზებულმა სკოლებმა, რომლებსაც აქვთ სათანადო მატერიალურ ბაზა და ჰყავთ კვალიფიციური კადრები, უზრუნველყონ სპორტის ოლიმპიურ სახეობათა შემდგომი განვითარება. გააძლიერონ მუშაობა სპორტული რეზერვების მოსამზადებლად, განსაკუთრებით მძლეოსნობაში, ცურვაში, ტანვარჯიშსა და სპორტულ თამაშობებში.

1. 7. პერსპექტიული მოსწავლე სპორტსმენების შერჩევის მიზნით მეტი ყურადღება მიაქციონ სასელექციო მუშაობას. შერჩეული კონტინგენტისა და ნაკრები გუნდების კანდიდატებისათვის გეგმაზომიერი სასწავლო-საწვრთნელი პირობების შესაქმნელად ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებთან და უწყებებთან თანხების კოოპერირების საშუალებით გახსნან მოსწავლეთა სპორტული ცენტრები. ასეთ ცენტრებსა და სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატებში მუშაობის ეფექტურად წარმართვით მიაღწიონ მოსწავლეთა ნაკრები გუნდების მაღალი თანრიგის მოსწავლე სპორსტმენებით დაკომპლექტებას, სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებებში წარმატებით გამოსვლას.

1. 8. გააუმჯობესონ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა მოსწავლე სპორტსმენებთან, მოაწყონ მოსწავლეთა მიზანმიმართული პოლიტიკური სწავლება, აღზარდონ ახალგაზრდობა საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, კომუნიზმის საქმის ერთგულების სულისკვეთებით. ამ საქმეში დევიზით „საბჭოთა სპორტსმენები—სკოლას" ფართოდ ჩააბან ფიზკულტურული აქტივისტები, მოქმედი სპორტსმენები და მოზრდილთა ნაკრები გუნდები. მკაცრი კონტროლი დააწესონ მოსწავლე სპორტსმენთა სხვა რესპუბლიკებსა და სპორტულ საზოგადოებებში უნებართვოდ გადაყვანაზე.

1. 9. უფრო ფართოდ გამოიყენონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი სახსრების კოოპერირება ფიზკულტურულ ღონისძიებათა ერთობლივი განხორციელების, ბავშვთა სპორტული ცენტრების გახსნის, სპორტულ ნაგებობათა მშენებლობისა და რემონტის, საზაფხულო ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული ბანაკების მშენებლობის დროს მოცემული ღონისძიებების მონაწილე თითოეული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის თანხმობითა და გადაწყვეტილებით.

2. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველომ (ამხ. დ. კვინიკაძე), კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) და მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. მ. დარჩია) უზრუნველყონ ფიზკულტურის მასწავლებელთა, ინსტრუქტორთა, მეთოდისტთა და სხვა ფიზკულტურული კადრების სწორად შერჩევა, განაწილება და გადამზადება. ძირითადად სპეციალური პრაქტიკული მეცადინეობების გაზრდის გზით გააუმჯობესონ და დახვეწონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის კურსების პროგრამა. ამასთანავე, მიაღწიონ მასწავლებელთა და სხვა ფიზკულტურულ მუშაკთა პირადი პასუხისმგებლობისა და პროფესიული დაოსტატების დონის ამაღლებას.

3. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ზ. აფხაზავა) სასოფლო მშენებლობის სამინისტროსთან ერთად:

3. 1. დააჩქაროს თბილისის სპორტული პროფილის რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატის რეკონსტრუქცია იმ ვარაუდით, რომ სკოლა 1982 წლის 1 აგვისტოსათვის ექსპლოატაციაში შევიდეს.

3. 2. ქ. ბათუმსა და ქ. ქუთაისში სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატების გასახსნელად 1982 წლის ბოლომდე დაამუშაოს ასეთი ტიპის სასწავლებლებისათვის განკუთვნილი სასწავლო და საცხოვრებელი კორპუსების, კვების ბლოკის, სპორტული დარბაზისა და ღია მოედნების სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოების დოკუმენტაცია, ხოლო 1983 წლიდან მათი მშენებლობის დაწყება.

3. 3. არ დაუშვას ახალი სასკოლო შენობების მიღება თანამედროვე მოთხოვნილების შესაბამისი სპორტული დარბაზის, ღია სათამაშო მოედნებისა და გეგმის მიხედვით გათვალისწინებული საცურაო აუზების გარეშე.

4. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რათა 1982 წლიდან გამოყოს სახსრები 30 და მეტკლასიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკური კულტურის კლასგარეშე მუშაობის ანაზღაურებისათვის მასწავლებლის სრული განაკვეთის ოდენობით. 1982 წლიდან 1985 წლამდე გაითვალისწინოს მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის ხარჯების ნორმების თანდათანობით გაზრდა არსებული 80 კაპიკიდან 1 მანეთსა და 20 კაპიკამდე.

1982 წლიდან გამოყოს დამატებით ასიგნებანი მიზნობრივი დანიშნულებით ქ. ქუთაისისა და ქ. ბათუმის სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატების სასწავლო და საცხოვრებელი კორპუსების, სარეაბილიტაციო და სამედიცინო კაბინეტებისა და კვების ბლოკის რეკონსტრუქციისა და სარემონტო სამუშაოების, აგრეთვე სპორტული ბაზების მშენებლობისათვის.

5. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის წინაშე ფიზკულტურის მასწავლებელთა, ინსტრუქტორ-მეთოდისტთა და მწვრთნელთა კადრების მომზადება-გადამზადების არსებითად გაუმჯობესების შესახებ. ამ მიზნით შესწავლილ იქნას რესპუბლიკაში პედაგოგიურ ინსტიტუტებთან არსებული ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტების მუშაობის ეფექტიანობა; აღნიშნულ ფაკულტეტებზე მისაღებად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კონკურსგარეშე ჩასარიცხად ყოველწლიურად გამოეყოს 50 ადგილი. მათ შორის 30 საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში.

პედაგოგიურ ინსტიტუტებსა და საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულებზე დიპლომი გაიცეს განაწილების შედეგად ორი წლის მუშაობის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დაისვას საკითხი სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და საკავშირო სპორტკომიტეტის წინაშე:

6. 1. 1984—1985 სასწავლო წლიდან ქ. ქუთაისსა და ქ. ბათუმში სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატების გახსნის თაობაზე, თითოეული 285 მოსწავლის ოდენობით;

6. 2. 1982—1983 სასწავლო წლიდან 1984—1985 სასწავლო წლის დასაწყისისათვის სპეციალური სპორტული კლასების კონტინგენტის გაზრდის შესახებ 200-დან 500 მოსწავლემდე;

6. 3. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მე-5 კლასიდან გოგონებისა და ვაჟებისათვის ფიზკულტურის გაკვეთილების ცალ-ცალკე ჩატარებაზე (კლასის გაყოფა).

7. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობისა და სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის წინაშე:

7. 1. მიიღონ ქმედითი ზომები რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების აღსაზრდელთა საკმარისი რაოდენობით მაღალხარისხოვანი სპორტული ფორმითა და ინვენტარით უზრუნველსაყოფად;

7. 2. შეუფერხებლად აწარმოონ დადგენილი ასორტიმენტით სპორტული საქონლის გაცემა უნაღდო ანგარიშსწორების წესით წვრილბითუმის ლიმიტებში ჩაუთვლელად რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე, ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებზე.

8. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტის წინაშე, რათა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობისა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებთან ერთად განიხილოს საკითხი იმ ასორტიმენტის სპორტული საქონლის წარმოების შესახებ, რომლითაც არასაკმარისი რაოდენობით მარაგდება რესპუბლიკის საცალო სავაჭრო ქსელი.

9. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს:

9. 1. ნება დართოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების შესანახად ყოველწლიურად გამოყოფილი საერთო ასიგნებისა და ხელფასის ფონდის ანგარიშში, საჭიროებისამებრ, გახსნას სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატები ასეთი ტიპის სასწავლო-დაწესებულების დებულების შესაბამისად დირექციის, მწვრთნელ-მასწავლებლების, აღმზრდელების, სამედიცინო პერსონალის და სხვა მუშაკების ხელფასისა და მოსწავლე სპორტსმენთა კვების ნორმების მკაცრი დაცვით.

9. 2. დაავალოს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე მეთოდური დახმარების, პრაქტიკული მუშაობის გაუმჯობესებისა და კონტროლის გაძლიერების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, არსებული ხელფასის ფონდისა და საშტატო ერთეულების რი-

ეროვნული

ცხობრიობის ფარგლებში გამონახონ საშუალებები სახალხო განათლე-ბის განყოფილებებში ფიზიკური აღზრდის ინსპექტორის თანამდებობის შემოღებისათვის.

10. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების მოთხოვნათა რეალიზაციისათვის დამტკიცდეს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობისა და მეთოდური საფუძვლების უზ-რუნველყოფის ღონისძიებათა პროექტი (თან ერთვის).

11. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო-ებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სა-ხალხო განათლების სამმართველოს 1982 და 1984 წლის 1 მარტამდე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აცნობონ ამ გადაწყვეტი-ლების შესრულების მიმდინარეობა.

12. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაე-კისროს განათლების მინისტრის პირველ მოადგილეს ამხანაგ ზ. ა. ლო-მიძეს.

**კოლეგიის თავმჯდომარე,**

**მინისტრი ო. ქინქლაძე**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1981 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება

### ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ სპორტის ტექნიკურ სახეობებში რესპუბლიკური შეჯიბრებების მზადებისა და ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბაზაზე 1982 წლის ზაფხულში მოსწავლეთა შორის ჩატარდეს რესპუბლიკური შეჯიბრებები სპორტის ტექნიკურ სახეობებში.

2. შეჯიბრებები მიეძღვნას ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის დაარსების მე-60 წლისთავს და ჩატარდეს შემდეგ ვადებში:

ა) ნორჩ რადიოსპორტსმენთა მე-15 რესპუბლიკური შეჯიბრება 1982 წლის 17-დან 22 ივნისამდე;

ბ) ნორჩ ავტომოდელისტთა მე-14 რესპუბლიკური შეჯიბრება 22-25 ივნისამდე;

გ) ნორჩ გემთმოდელისტთა მე-17 რესპუბლიკური შეჯიბრება 26-დან 30 ივნისამდე;

დ) ნორჩ რაკეტომოდელისტთა მე-18 რესპუბლიკური შეჯიბრება 5-6 ივლისს;

ე) ნორჩ ავიამოდელისტთა 50-ე რესპუბლიკური შეჯიბრება 7-12 ივლისის ჩათვლით.

3. სპორტის ტექნიკურ სახეობებში რესპუბლიკური შეჯიბრებების მაღალ დონეზე ჩატარების უზრუნველსაყოფად შეიქმნას საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ლომიძე ზურაბ — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

2. წიკლაური მერი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

3. ჩხეიძე თენგიზ — საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

4. ეპიტაშვილი გიორგი — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი, საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საორგანიზაციო კომიტეტის წევრები:

ზარქუა ენდი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი

ბუკია გოდერძი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე

ორახელაშვილი ალექსანდრე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი-სამხედრო მომზადების განყოფილების გამგე

მიცკევიჩი ვადიმ — საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის სპორტულ-ტექნიკური კლუბის უფროსი საწყლოსნო სახეობათა სპორტში

სელივანოვი ნიკოლოზ — საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის სპორტულ-ტექნიკური კლუბის უფროსი რადიოსპორტში

ლაჭავა ლაურა — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს სასკოლო ინსპექტორი

ნაყოფია ვალერი — საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის ავიასპორტკლუბის უფროსი

ჯაში ლევან — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორის მოადგილე სასწავლო-მეთოდურ დარგში

გაგუა ნინელი — საქართველოს სსრ დოსააფის თბილისის კომიტეტის თავმჯდომარე

კიკნაძე გიორგი — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მეთოდისტი

4. სპორტის ტექნიკურ სახეებში რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარების დებულებები დამტკიცდეს.

5. სპორტის ტექნიკურ სახეებში რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩამტარებელმა საორგანიზაციო კომიტეტმა უხელმძღვანელოს შეჯიბრებების მომზადებისა და ჩატარების საქმეს.

6. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურმა სადგურმა (ამხ. გ. ეპიტაშვილი):

ა) დროულად ჩაატაროს მოსამზადებელი სამუშაოები და სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეები უზრუნველყოს საჭირო მეთოდური მასალებით;

ბ) შეჯიბრებების მომზადების საქმეში სათანადო დახმარება გაუწიოს სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში მომუშავე სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეების ხელმძღვანელებს;

გ) ა/წლის 1-ლ ნოემბრამდე შეადგინოს და წარუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარ სამმართველოს და საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის მომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგების განყოფილებას განაცხადი 1982 წლისათვის სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეებისათვის აუცილებელი მასალებისა და ძრავების გამოყოფის შესახებ;

დ) მოამზადოს და 1981—1982 სასწავლო წლის ბოლოსათვის უზრუნველყოს სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეები სათანადო რაოდენობის მეთოდური მასალებით, აღწერილობებითა და პროგრამებით.

7. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალქო და რაიონული კომიტეტების მდივნებმა და დოსააფის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებმა:

ა) რვაწლიანი და საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების დირექტორებსა და ტექნიკური წრეების ხელმძღვანელებს გააცნონ მომავალ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის პირობები და შეჯიბრებებში მოსწავლეთა ფართო მასების მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით დასახონ და გაატარონ პრაქტიკული ღონისძიებები;

ბ) შეჯიბრებების ჩასატარებლად ზუსტად იხელმძღვანელონ არსებული დებულებებით;

გ) ადგილებზე ჩაატარონ შეჯიბრებები, უზრუნველყონ სათანადოდ მომზადებული ნაკრები გუნდების დაკომპლექტება და ინდივიდუალური მონაწილეების შერჩევა რესპუბლიკური შეჯიბრებებისათვის;

დ) მიიღონ ქმედითი ზომები, რათა სკოლების უმრავლესობაში, განსაკუთრებით კი სკოლისგარეშე დაწესებულებებში 1982—1983 სასწავლო წლის დასაწყისში ჩამოყალიბდეს სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეები და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მათ ნაყოფიერ მუშაობას;

ე) რესპუბლიკური შეჯიბრებებისათვის მზადება, როგორც წესი, დაიწყონ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისიდან.

8. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების და სახლების, ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო, საქალაქო და რაიონული სადგურების დირექტორებმა მიიღონ გადამჭრელი ზომები სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეების ნორმალური მუშაობისათვის და მათი საქმიანობა მჭიდროდ დაუკავშირონ შეჯიბრებების ამოცანებს.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) გაითვალისწინოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის 1982 წლის ბიუჯეტში სპორტის ტექნიკურ სახეობათა რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარებისათვის პროგრამების, მეთოდური მასალების შედგენისა და ბეჭდვისათვის საჭირო თანხა.

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების

მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) და საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის მომარაგების განყოფილებამ (ამხ. ვ. ადუკონისი):

ა) სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში მომუშავე სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეებს გამოუყონ საჭირო მასალები და აპარატურა იმ მოთხოვნილების მიხედვით, რაც საჭირო იქნება წრეების მუშაობის ნორმალურად წარმართვისათვის;

ბ) სპორტის ტექნიკურ სახეობათა რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტის მოთხოვნათა მიხედვით გამოუყონ ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს მეთოდური მასალების, დებულებების, პროგრამებისა და ნახაზების დასაბეჭდად 500 კგ. ქაღალდი და რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩასატარებლად საჭირო მასალები და ინვენტარი.

11. გაზეთების „სახალხო განათლების", „ახალგაზრდა კომუნისტის", „მოლოდიოჟ გრუზიის", „ნორჩი ლენინელის", ჟურნალების „სკოლა და ცხოვრების", „პიონერის" და რადიოსა და ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ სპორტის ტექნიკურ სახეებში წრეობრივი მუშაობის, შეჯიბრებების მზადებისა და ჩატარების საკითხები.

12. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა), საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებას (ამხ. გ. ბუკია) და საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის სპორტულ განყოფილებას (ამხ. თ. ჩხაიძე).

**საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. ქინქლაძე**

**საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ორჯონიკიძე**

**საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ჯანჯღავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ც ნ ო ბ ა

## საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა შორის სპორტის ტექნიკურ სახეობათა რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარების შ ე ს ა ხ ე ბ

1981 წლის ზაფხულში, 17 ივნისიდან 12 ივლისის ჩათვლით, ჩატარდა სპორტის ტექნიკურ სახეობათა რესპუბლიკური შეჯიბრებები.

რესპუბლიკურ შეჯიბრებებს წინ უძღოდა რაიონული (საქალაქო) და ზონალური შეჯიბრებები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 4000-მდე მოსწავლემ.

ქ. თბილისში ჩატარებულ ნორჩ რადიოსპორტსმენთა მე-11 რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობდა 8 გუნდი და პირად პირველობაში მონაწილე 15 მოსწავლე, სულ 53 კაცი.

რადიოგრამების მიღება-გადაცემის შეჯიბრებაში მონაწილეობდა 19 სპორტსმენი, მათგან 8 მოსწავლე — პირად ჩათვლაში, გუნდურ შეჯიბრებაში მონაწილე 11 სპორტსმენიდან 6 ბიჭი იყო და 5 გოგონა. ვაჟებს შორის ასოებისა და რიცხვების მიღების უმაღლესი სიჩქარე იყო 170 ნიშანი წუთში (სსრკ სპორტის ოსტატის ნორმატივი), გადაცემის — 130 ნიშანი.

გოგონებს შორის მიღების უმაღლესი სიჩქარე იყო 110 ნიშანი წუთში, გადაცემის სიჩქარე კი — 86 ნიშანი.

რადიოგრამების მიღება-გადაცემის შეჯიბრებაში გუნდური ადგილები ასე განაწილდა:

პირველი ადგილი დაიკავა ქ. თბილისის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ-ტექნიკური სკოლის გუნდმა, მეორე ადგილი — აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის გუნდმა, მესამე ადგილი კი ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის გუნდმა.

მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს ვაჟებს შორის ა. კისელიოვმა და გოგონებს შორის ი. კორონოვსკაიამ (ორივე ქ. თბილისი).

რადიომრავალჭიდში მონაწილეობდა 4 გუნდი. რადიომრავალჭიდის ორი სახეობის — სპორტული ორიენტირებისა და რადიოსადგურებზე მუშაობის — ჯამში გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის გუნდმა, მეორე ადგილი — ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ-ტექნიკური სკოლის გუნდმა, მესამე ადგილი — ფოთის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის გუნდმა.

საუკეთესო მაჩვენებლები ქონდათ და ჩემპიონის ლენტები გადაეცათ ვაჟებს შორის ა. ცენცოვს, გოგონებს შორის ი. კორონოვსკაიას (ორივე ქ. თბილისი).

სპორტული რადიოპელენგაციის („მელიებზე ნადირობა“) შეჯიბრებაში მონაწილეობდა 7 გუნდის 21 სპორტსმენი, რომელთაგან 11

ვაჟი იყო და 10 გოგონა. გუნდურ შეჯიბრებაში ადგილები ასე განაწილდა:

პირველი ადგილი დაიკავა ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის გუნდმა, მეორე ადგილი — ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის გუნდმა, მესამე ადგილი — ქ. თბილისის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ-ტექნიკური სკოლის გუნდმა.

საუკეთესო შედეგები ქონდათ ვაჟებს შორის ბ. პოგორელოვს, გოგონებს შორის ა. დრობიშევას (ორივე ქ. თბილისი). საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი მოიპოვა, I ხარისხის სიგელისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თასის მფლობელი გახდა ქ. თბილისის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ-ტექნიკური სკოლის გუნდი, მეორე ადგილი დაიკავა ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის გუნდმა, რომელსაც გადაეცა II ხარისხის სიგელი და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ვიმპელი, ხოლო მესამე ადგილის მფლობელს, აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის გუნდს გადაეცა III ხარისხის სიგელი.

სამი დღის განმავლობაში 1981 წლის 23 ივნისიდან 26 ივნისამდე მიმდინარეობდა ნორჩ ავტომოდელისტთა მე-13 რესპუბლიკური შეჯიბრება, რომელიც ქ. რუსთავში დოსააფის რესპუბლიკურ სპორტულ ბაზაზე ჩატარდა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 9 გუნდი და ინდივიდუალური მონაწილენი —სულ 57 პიონერი და მოსწავლე.

შეჯიბრებაზე წარმოდგენილი მოდელების სასტენდო და სავალი ნაწილების შემოწმებამ დაადასტურა, რომ ავტოსამოდელო საქმე ჩვენს რესპუბლიკაში სათანადო სიმაღლეზე იმყოფება და მიუხედავად არადამაკმაყოფილებელი მატერიალური ბაზისა, განაგრძობს ზრდას; შეჯიბრებაზე წარმოდგენილმა ნაირსახეობითი კონსტრუქციით დამზადებულმა მრავალმა მოდელმა სვლის საუკეთესო შედეგი უჩვენა.

შეუპოვარი სპორტული შეჯიბრების შედეგად შეჯიბრებაზე გამოვლინდნენ გუნდები და მოსწავლე სპორტსმენები, რომლებმაც რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს.

გუნდური პირველი ადგილი დაიკავა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თასი გადაეცა ქ. ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გუნდს. მეორე ადგილზე გამოვიდა ქ. თბილისის კიროვის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის გუნდი, ხოლო მესამე ადგილზე — ქ. თბილისის ლენინის რაიონის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის გუნდი.

ასევე ცალკეული კლასების მიხედვით გამოვლინდნენ და გახდნენ რესპუბლიკის ჩემპიონები:

თბილისის 160-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე პეტრე ლომთაძე — რადიოთი მართულ ასლ-მოდელებში

თბილისის 108-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე ოლეგ ლებედენკო — საჰაერო ხრახნიან 2,5 სმ$^3$ მოდელებში

ბათუმის მე-7 საშუალო სკოლის მე-3 კლასის მოსწავლე ონიკ ჩილინჯიანი — 1,5 სმ$^3$ ასლ-მოდელებში

თბილისის 154-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე გიორგი უთურგაშვილი — 1,5 სმ$^3$ ძრავიან სარბოლო მოდელებში

ბათუმის მე-7 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე არამ კალამკაროვი — 2,5 სმ$^3$ ძრავიან ასლ-მოდელებში

თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის მოსწავლე ბადრი ანიაშვილი — ელექტრომობილის ასლ-მოდელებში

თბილისის 154-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ზაქრო პეტრიაშვილი — 2,5 სმ$^3$ მოცულობის ძრავიან სარბოლო მოდელებში

გემთმოდელისტთა მე-16 რესპუბლიკურ შეჯიბრებაში, რომელიც 1981 წლის 26-30 ივნისს ჩატარდა, მონაწილეობა მიიღო 8 გუნდმა, 58 მოსწავლის რაოდენობით.

სრულად დაკომპლექტებული გუნდები მოავლინეს მხოლოდ აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო და რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურებმა.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის გუნდმა, რომელსაც გადაეცა I ხარისხის სიგელი და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თასი, მეორე ადგილი დაიკავა რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის გუნდმა, რომელიც დაჯილდოვდა II ხარისხის სიგელითა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ვიმპელით, ხოლო მესამე ადგილი — აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის გუნდმა, რომელსაც გადაეცა III ხარისხის სიგელი.

მოდელების სახეობაში ცალკეული კლასების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: სამხედრო გემის ასლ-მოდელებში ქ. თბილისის 116-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ვ. გრეული, წყალქვეშა ნავის მოდელებში — ქ. თბილისის მე-12 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე ა. ბურდული, რადიოთი ფიგურული კურსის მოდელებში — ქ. თბილისის მე-5 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე თ. ნუცუბიძე, საქარე არამართულ იახტის მოდელებში — წულუკიძის მე-2 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე მ. ჯიბუხაია, ჩქაროსნულ საკორდო მოდელებში — ქ. თბილისის 83-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ა. შიშკინი, სამოქალაქო გემის ასლ-მოდელებში — ბათუმის მე-3 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე გ. დავიდოვი და სხვა.

გამარჯვებული გუნდების ყველა წევრი დაჯილდოვდა სიგელებით, ხოლო პირად პირველობაში გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებითა და სიგელებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია ამ შეჯიბრში წულუკიძის ნორჩ ტექნიკოსთა რაიონული სადგურის გუნდის მონაწილეობა. ამ გუნდის ერთი წევრი რესპუბლიკის ჩემპიონიც გახდა გემთმოდელისტთა სახეობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სადგური ერთი წელია რაც დაარსდა, იგი უკვე აქტიურად მონაწილეობს ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების რესპუბლიკურ მასობრივ ღონისძიებებში.

სპორტის ტექნიკურ სახეობათა შეჯიბრებებიდან, როგორც ყოველთვის, მასობრიობით გამოირჩეოდა მოსწავლე ავიამოდელისტთა 49-ე რესპუბლიკური შეჯიბრება, რომელიც ჩატარდა საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის ავიასპორტული კლუბის ბაზაზე, ბოლნისის მიდამოებში.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 16 გუნდი 118 მოსწავლის რაოდენობით.

ნორჩმა ავიამოდელისტებმა წარმოადგინეს სპორტული კლასის 130-ზე მეტი სხვადასხვა სახის მოდელი, რომელთა სასტენდო და საფრენი ნაწილების შემოწმებამ დაადასტურა, რომ ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების მიუხედავად, ავიამოდელიზმი ჩვენს რესპუბლიკაში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ისევე როგორც გასულ წლებში, საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლა, ძირითადად, მიმდინარეობდა ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, აგრეთვე ქობულეთისა და საჩხერის რაიონების გუნდებს შორის. 6 დღის შეუპოვარი სპორტული შეჯიბრების შედეგად გამოვლინდნენ გამარჯვებული გუნდები და მოსწავლე სპორტსმენები, რომლებმაც რესპუბლიკის ჩემპიონების წოდება მოიპოვეს. გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი, I ხარისხის სიგელი და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თასი მოიპოვა ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გუნდმა (ხელმძღვანელი ვ. ტოკარიოვი), მეორე ადგილი, II ხარისხის სიგელი და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ვიმპელი დაიმსახურა ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის გუნდმა (ხელმძღვანელი ვ. წილოსანი), მესამე ადგილის მფლობელს, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის გუნდს გადაეცა III ხარისხის სიგელი (ხელმძღვანელი რ. შმატკოვი).

პირად პირველობაზე რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება ცალკეული კლასების მიხედვით მოიპოვეს შემდეგმა მოსწავლეებმა: „საჰაერო ბრძოლის მოდელების სახეობაში ქ. თბილისის მე-2 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლემ ვ. ბლაგონრავოვმა და 144-ე პროფტექნიკური სასწავლებლის მე-9 კლასის მოსწავლემ ვ. ხოდკომ. ა-1 პლანერის მოდელებში ქ. თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლემ ვ. მანჯგალაძემ; ა-2 პლანერის მოდელებში — ა/კ რკინიგზის ქუთაისის მე-12 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლემ დ. ფუტკარაძემ; ვ-1 რეზინძრავიან მოდელებში — ქ. თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლემ ტ. მათიაშვილმა, ვ-2 რე-

ზინძრავიან მოდელებში — ქ. თბილისის 148-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლემ ვ. გუსევმა; ფ-2-ე ტაიმერულ მოდელებში—ქ. თბილისის 66-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლემ ა. ტოკარევმა.

მოეწყო, აგრეთვე, ნორჩ რაკეტომოდელისტთა მე-7 რესპუბლიკური შეჯიბრება. ძრავების უქონლობის გამო უკანასკნელი 4 წლის მანძილზე შეჯიბრებები სპორტის ამ ტექნიკურ სახეობაში არ ჩატარებულა. ამით იყო გამოწვეული შეჯიბრების მონაწილეთა სიმცირე.

რაკეტების მოდელების კლასში ჩემპიონი გახდა ქ. რუსთავის მე-17 პროფტექნიკური სასწავლებლის მე-9 კლასის მოსწავლე ს. ოსენაშვილი.

სპორტის ტექნიკურ სახეობებში ჩატარებულმა რესპუბლიკურმა შეჯიბრებებმა დადებით მხარეებთან ერთად მრავალი ნაკლიც გამოავლინეს. განათლების განყოფილებათა უმეტესი ნაწილი კვლავ ნაკლებად ზრუნავს სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეებისა და მათი ნორმალური მუშაობისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად.

სპორტის ტექნიკურ სახეობათა ზოგიერთ რესპუბლიკურ შეჯიბრებას მასობრივი ხასიათი არა აქვს, რადგან ბევრ სკოლისგარეშე დაწესებულებაში დანერგილი არ არის ისეთი წამყვანი წრეები, როგორიცაა ავიამოდელიზმი, ავტომოდელიზმი და სხვა. ამის შედეგია, ის რომ მახარაძის, ლანჩხუთის, ცხაკაიას, კასპის, თელავის, გურჯაანის, ახალციხის, ახალქალაქისა და რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების გუნდები რესპუბლიკურ შეჯიბრებაში წლების მანძილზე არ მონაწილეობენ.

რესპუბლიკის ზოგიერთ სკოლისგარეშე დაწესებულებებში წრეების მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებს (ახალქალაქის, ახალციხის, დმანისის, მარნეულის, გურჯაანის, თელავის, აბაშის, ამბროლაურის, ახმეტისა და სხვა რაიონების პიონერთა სახლები). ბევრ რაიონში არ იყენებენ ადგილობრივ ძალებს და წრეების იმ ხელმძღვანელებს, რომლებიც სპეციალურად იყვნენ მომზადებული ამ წრეებისათვის. სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეების მუშაობაში ჩამორჩენა იმითაც არის განპირობებული, რომ მათი უმრავლესობა მასალების ნაკლებობას განიცდის, ხოლო დოსააფის რაიონული და საქალაქო კომიტეტები, რომელთა საშუალებითაც უნდა წარმოებდეს აპარატურითა და მასალებით მომარაგება, სათანადო დახმარებას არ უწევენ წრეებს.

რადიოსპორტული წრეები აპარატურის მწვავე ნაკლებობას განიცდიან. თითქმის არც ერთ წრეს არ გააჩნია საკმარისი რაოდენობით რადიოგადამცემები და სხვა საჭირო მოწყობილობა. გუნდების უმრავლესობის მომზადების დონე არ პასუხობს საკავშირო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ის ფაქტი, რომ რადიოაპარატურის შეძენა გაძნელებულია, ქმნის გარკვეულ პრობლემებს რადიომოყვარულთა წრეების ქსელის გასაფართოებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი რესპუბლიკის ავტომოდელისტები საკავშირო შეჯიბრებებზე უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ, მაგრამ თუ გავეცნობით ავტოსამოდელო სპორტის მოკლე ისტორიას, დავინახავთ, რომ ეს წარმატებები მოპოვებულია რამდენიმე სკოლისგარეშე დაწესებულების სერიოზული მუშაობის შედეგად, ხოლო რაიონების უმრავლესობაში ამ სახეობის წრეები დანერგილიც კი არ არის.

გემთმოდელისტთა შეჯიბრების ჩატარების ნაკლად უნდა მივიჩნიოთ რიგი გუნდების არასრულად დაკომპლექტება, რაც გამოწვეულია წრეობრივი მუშაობისათვის საჭირო მასალების უქონლობით. არ არის შექმნილი პირობები მოდელების გამოცდის, ვარჯიშისა და შეჯიბრებების ჩატარებისათვის.

ავიამოდელისტთა შეჯიბრების ჩატარებამ გვიჩვენა, რომ მოსწავლეთა სპორტული ოსტატობა, მოდელების კონსტრუქციული სრულყოფა და დამზადების კულტურა იზრდება, მაგრამ ეს ეხება მხოლოდ შეჯიბრებაში მონაწილე გუნდებს თბილისიდან, ქუთაისიდან, ქობულეთიდან, რუსთავიდან, საჩხერიდან, რაც შეეხება ქ. ქ. ფოთის, ზუგდიდის, სოხუმისა და ჭიათურის, აგრეთვე ზოგიერთი სხვა რაიონის გუნდებს, მათი მომზადების დონე ჯერ კიდევ დაბალია.

მთელი რიგი რაიონების სკოლისგარეშე დაწესებულებები თავს არიდებენ ამ სახის შეჯიბრებებში მონაწილეობას.

გაუმჯობესებას მოითხოვს ავიამოდელისტთა რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარების ორგანიზაცია. მონაწილეთა ბინითა და კვებით უზრუნველყოფის საქმეში შეინიშნებოდა გარკვეული სიძნელეები.

ნორჩ რადიოსპორტსმენთა შეჯიბრების მონაწილეთა საცხოვრებელი ბინა და კვების ბლოკი საკმაო მანძილით იყო დაცილებული შეჯიბრების ჩატარების ადგილიდან.

ავიამოდელისტთა შეჯიბრების მონაწილეთათვის გამოყოფილი ბოლნისის რაიონის რატევანის ქართული საშუალო სკოლის შენობა შეუფერებელი იყო საცხოვრებლად. იმის გამო, რომ ბოლნისის რაიკვებვაჭრობამ ვერ უზრუნველყო საკმარისი რაოდენობისა და ასორტიმენტის პროდუქტებით მომარაგება, ამასთან დროულად ვერ გამოჰყო მზარეული, გარკვეული სიძნელეები შეიქმნა ავიამოდელისტთა შეჯიბრების მონაწილეთა კვებისათვის.

**ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს 1981 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება

## ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-18 რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-19 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შ ე ს ა ხ ე ბ

აღვნიშნავთ, რომ 1978—1979 სასწავლო წელში გამოცხადებული ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-18 რესპუბლიკური კონკურსი მნიშვნელოვანი რესპუბლიკური ღონისძიება იყო. მან ხელი შეუწყო საწრეო მუშაობის გაუმჯობესებასა და მოსწავლეთა ფოტოკულტურის ამაღლებას, ფოტოგრაფიული ტექნიკის დაუფლებას, ამ საქმით მოზარდი თაობის დაინტერესებასა და ნიჭიერი ფოტომოყვარულების გამოვლინებას. კონკურსში საგრძნობლად გაიზარდა მონაწილე მოსწავლეთა რიცხვი და კონკურსზე წარმოდგენილი სურათების რაოდენობა.

სარაიონო და საქალაქო კონკურსებზე წარმოდგენილი 7460-ზე მეტი სურათიდან შეირჩა და რესპუბლიკურ გამოფენაზე გადმოიგზავნა 1972 ფოტოსურათი, რომლებზედაც ასახულია ჩვენი ბავშვების ბედნიერი ცხოვრება, სწავლა, შრომა, დასვენება და გართობა.

კონკურსში მოსწავლეთა მასობრივად ჩაბმით გამოირჩეოდნენ ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. ქ. ქუთაისის, გაგრის, თბილისის ლენინის რაიონის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების, ზ. ძნელაძის სახელობის რესპუბლიკური და ქ. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების, ცაგერისა და ამბროლაურის პიონერთა სახლებისა და ვანის რაიონის სოფელ უხუთის საშუალო სკოლის ფოტომოყვარულთა წრეები.

კონკურსის რესპუბლიკურ შემაჯამებელ გამოფენაზე მოწონება დაიმსახურა მრავალმა სურათმა, მათ შორის: „ქანდაკება“ (გოგიაშვილი ჯიმშერ — ქ. თბილისის მე-14 საშუალო სკოლა, მე-8 კლასი), „მთიბავები“ (გოცირიძე ლელა — ამბროლაურის მე-2 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი), „ახლა კი დავისვენოთ“ (ზურაბიშვილი დავით — კასპის რაიონის სოფელ ოკამის საშუალო სკოლა, მე-8 კლასი), „ობლად“ (შერაზადიშვილი ია — ქ. ცხინვალის 1-ლი საშუალო სკოლა, მე-9 კლასი), „მაჭრის რიგში“ (თედეევი ზურაბ — ქ. თბილისის 61-ე საშუალო სკოლა, მე-9 კლასი), „აი ეს კი ღრეობაა“ (პლიევი ხსარი — ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი), „დაბრკოლების გადალახვა“ (ბეპიევა თამარი — ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლა, მე-10 კლასი), „მეგობრები“ (კაჭარავა ნიკოლოზ — ქ. თბილისის მე-19 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი), „ჩემი სოფელი“ (ლიპარტელიანი ფრიდონ — თბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისის მე-11 პროფტექნიკური სასწავლებელი ,მე-2 კურსი), „ზღვაზე“ (მგელაძე დავით — ბათუმის მე-2 საშუალო სკოლა, მე-5 კლასი), „დაამავა“ (მორჩიაშვილი ემზარ — ქ. ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლა, მე-10 კლასი), „სიმაღლე დაძლეულია“ (მოსკვინოვი ედუარდ — ქ. თბილისის 96-ე საშუალო სკოლა, მე-9 კლასი), „სოფლის მოტივი“ (კაჭარავა ნიკოლოზ — ქ. თბილისის მე-19 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი) და სხვა.

კონკურსში მონაწილეობა არ მიუღიათ აბაშის, ადიგენის, ახალქალაქის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, გეგეჭკორის, მახარაძის, მცხეთის, ონის და სამტრედიის რაიონების სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს. ჩატარებული მუშაობის შესახებ ანგარიშები წარმოადგინეს მხოლოდ ქ. ქუთაისის განათლების განყოფილებამ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურებმა.

ჟიურიმ პირველი პრემიით დააჯილდოვა 10 მოსწავლე, მეორე პრემიით 20 მოსწავლე, მესამე პრემიით — 43, ხოლო სიგელით — 82 მოსწავლე.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ გადაწყვიტეს:

1. ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-18 რესპუბლიკური კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტი, სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებებთან არსებული ფოტოწრეების, წრის ხელმძღვანელებისა და ცალკეულ ფოტომოყვარულთა დაჯილდოების შესახებ დამტკიცდეს (დანართი 1-ლი, მე-2, მე-3).

2. 1982 წლის 19 მაისამდე გამოცხადდეს ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-19 რესპუბლიკური კონკურსი და მიეძღვნას იგი ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის შექმნის მე-60 წლისთავს.

3. ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-19 რესპუბლიკური კონკურსის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

ვაჩნაძე თენგიზ — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

თურქია ოთარ — „საქინფორმის“ ფოტოინფორმაციის მთავარი რედაქტორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ზარქუა ენდი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი

ბუკია გოდერძი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე

ეპიტაშვილი გიორგი — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი

ცერცვაძე ივანე — გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორი

ვარდოსანიძე გიორგი — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კური კომიტეტის მდივანი

ჟღენტი თეიმურაზ — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი

მამასახლისი ალექსანდრე — ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ლექტორი

კილაძე სიმონ — ფოტოკლუბ „საქართველოს“ უფროსი

რუსეცკი ვლადიმერ — გაზეთ „ვეჩერნი თბილისის“ საილუსტრაციო განყოფილების გამგე

გინზბურგი გიორგი — გაზეთ „კომუნისტის“ ფოტორეპორტიორი

კიკნაძე გიორგი — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მეთოდისტი

ვართანესოვი სურენ — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ფოტოლაბორატორიის გამგე

4. დაევალოს ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-20 რესპუბლიკური კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტს:

ა) უზრუნველყოს რაიონები საჭირო რაოდენობის საინსტრუქციო მასალებითა და დებულებებით;

ბ) ადგილებზე დახმარების გაწევის მიზნით მიავლინოს სპეციალისტები იმ ქალაქებსა და რაიონებში, რომლებსაც კონკურსში მონაწილეობა არ მიუღიათ.

5. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებს:

ა) შექმნან ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ნორჩ ფოტომოყვარულთა კონკურსის ხელშემწყობი კომისიები კომკავშირული, პიონერული ორგანიზაციებისა და მშობელთა კომიტეტების წარმომადგენელთა შემადგენლობით;

ბ) გაშალონ ადგილებზე მოსამზადებელი მუშაობა და კონკურსის ჩატარების პირობები დაიყვანონ ყველა სკოლამდე და სკოლისგარეშე დაწესებულებამდე.

6. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარ სამმართველოს (ამხ. კ. ძლიერიშვილი), ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მოთხოვნის შესაბამისად, რესპუბლიკის სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს გამოუყოს ფოტოაპარატები და ფოტომასალები.

7. გაზეთებმა „სახალხო განათლებამ“ (ამხ. ნ. შველიძე), „ახალგაზრდა კომუნისტმა“ (ამხ. ჯ. ნინუა), „მოლოდიოჟ გრუზიიმ“ (ამხ. ანასტასიადი), „ნორჩმა ლენინელმა“ (ამხ. ი. ცერცვაძე), ჟურნალმა „პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონერმა" (ამხ. ბ. შელია) და საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციებმა (ამხ. მიქაბერიძე, ამხ. რ. გამსახურდია) პერიოდულად გააშუქონ მასალები კონკურსის მიმდინარეობის შესახებ.

8. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა) და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებას (ამხ. გ. ბუკია) კონტროლი დააწესონ ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე.

კოლეგიის დამჯდომარე,
მინისტრი **ო. ქინქლაძე**

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ი. ორჯონიკიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 1

## სია

### ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-18 რესპუბლიკურ კონკურსში მონაწილე მოსწავლეებისა, რომლებიც დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით

**პირველი პრემიით (1-ლი ხარისხის სიგელითა და 15 მანეთის ფასიანი საჩუქრით):**

1. სილაგაძე ვეფხვია — თბილისის მე-6 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი
